



სამეცნიერო ჟურნალი „ხელისუფლება და საზოგადოება“
(ისტორია, თეორია, პრაქტიკა)“

Scientific magazine
“AUTHORITY AND
SOCIETY

(History, Theory, Practice)II

Научный журнал “ВЛАСТЬ И ОБЩЕСТВО”
(История, Теория, Практика)“

№ 1 (29) 2014

ღია დიპლომატიის ასოციაციის
სამეცნიერო ჟურნალი

Scientific magazine of
The Open Diplomacy Association


Научный журнал
АССОЦИАЦИИ ОТКРЫТОЙ ДИПЛОМАТИИ

EISSN 1512-4029

ჟურნალი დაარსებულია 2005 წელს საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის სახელმწიფო მართვის კათედრის მიერ

UDC 378(479.22)(051.2)

ბ. 402



სარედაქციო კოლეგია:

შოთა დოღონაძე

მთავარი რედაქტორი

ოთარ ქოჩორაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე

ოთარ ბაღათურია

პასუხისმგებელი მდივანი

ნანა ავალიანი, რუდიგერ ანდრესენი, მეუფე აბრაამი (გარმელია), ევგენი ბარათაშვილი, გიორგი ბაღათურია, ოთარ ბაღათურია, რასა ბელოკაიტე, ანასტასია განიჩი, იური გორიცი, ვახტანგ გურული, შოთა დოღონაძე, ელენ დრაკე, ჰარალდ ვერტცი, გენადი იაშვილი, სერჯო კამიზი, რინარდ მაასი, როინ მეტრეველი, იოშიკა მიცუი, ბადრი ნაკაშიძე, ლიზავეტა უახანიანა, ბუდი ნურანი რუჩჯანა, რამონ პიეტრო-სუარესი, გერტ სურმიულენი, ქეთი ქოქრაშვილი, ოთარ ქოჩორაძე, რუსუდან ქუთათელაძე, მაია ჩხეიძე, ენდრიუ ლენუქს პარდინგსი



ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.

გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გამოქვეყნებული მასალები გამოხატავს მხოლოდ ავტორთა პოზიციას და შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის შეხედულებებს.

რედაქციის მისამართი:

საქართველო, თბილისი, 0175, კოსტავას ქ. 77, VI კორპუსი,

I სართული, ტელ. 236-45-14,

77 Kostava st., 0175 Tbilisi, Georgia.

Tel. [+995 32] 2364514

e-mail: geoandependip@yahoo.com

გარეკანის გაფორმება: დავით ბაღათურია

ჟურნალი გამოდის კვარტალში ერთხელ, 4 ნომერი წელიწადში

ჟურნალის ელექტრონული ვერსია განთავსებულია ვებგვერდზე:

<http://odageorgia.ge/?page=gamocemebi>

ჟურნალის რეფერირებული მასალა განთავსებულია საერთაშორისო სამეცნიერო

ელექტრონულ ბიბლიოთეკაში: <http://www.eLIBRARY.ru>

ს ა რ ჩ ე პ 0

თეორია

დავით პიპინაშვილი
ინდოეთის საგარეო პოლიტიკის მთავარი ამოცანები და
გეოსტრატეგიული დომინირება სამხრეთ აზიის
სუბკონტინენტზე----- 5

ოლეგ შეპეტიაკი
ღვთისმეტყველება და პოლიტიკა XX საუკუნის
გერმანულენოვან რელიგიურ აზროვნებაში (რუსულად)--- 22

თინათინ ზერავია, დინა ასლამაზიშვილი
გართობა როგორც გუნდის კულტურის შემადგენელი
ნაწილი შინაგანი მოტივაციის ასამაღლებლად
(ინგლისურად) ----- 34

სერგეი ბელაი
მასობრივი ინფორმაციის ელექტრონულ საშუალებებში,
ბლოგებში და სოციალურ ქსელებში კრიზისული
მოვლენების (სიტუაციების) ნიშნების აღმოცენების
მოძიების მექანიზმის თეორეტიკული დასაბუთება
თანამედროვე საზოგადოებაში (რუსულად) ----- 44

ეკონომიკა

ეკა ნადარეიშვილი
მარკეტინგის როლი გლობალურ და ადგილობრივ
სამკერვალო სექტორში (ინგლისურად) ----- 57

მიხაილო მედვიდი, ევგენი იაკოვენკო
სპეციალური დანიშნულების ქვედანაყოფის სამხედრო
მოსამსახურისათვის საჭირო აუცილებელი პროფესი-
ონალური უნარჩვევები სამსახურეობრივ-საბრძოლო
ამოცანების ეფექტიანი შესრულებისათვის (რუსულად)--- 64

სამართალი

შამილ ძამუკაშვილი
სისხლის სამართლის პოლიტიკა როგორც
დანაშაულის დეტერმინანტი----- 78

ნიკოლოზ ორლოვი
“საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ძალების” ცნების
გაფართოებული დასაბუთება (რუსულად)----- 85

ელენე სოლოვიოვა-პოლუდნიცინა
უკრაინასა და საქართველოს შორის სისხლის
სამართლის სამართალწარმოებაში დადებული
ხელშეკრულების შედეგები (რუსულად) ----- 97

საზოგადოება

მაია ქავთარაშვილი
ბრენდის დამკვიდრება უცხოურ ბაზარზე - ადაპტაცია,
თუ სტანდარტიზაცია კროსკულტურული კომპეტენცი-
ების ჭრილში----- 109

პრაქტიკა

დავით შამოკვი
ეფექტიანი კომუნიკაცია და მომსახურება საჯარო
სამსახურში----- 126

გიორგი ბადათურია, თეონა მაისურაძე, კვლევის
მეთოდოლოგია ორგანიზაციათა ცვლილებებისადმი
მზადყოფნის შესასწავლად----- 134

თ ე ო რ ი ა

ღაპით პიპინაშვილი

ინდოეთის საბარეო პოლიტიკის მთავარი ამოცანები და
გეოსტრატეგიული ღრმინიშება სამხრეთ აზიის
სუბკონტინენტზე

21-ე საუკუნის ინდოეთის საგარეო პოლიტიკა ემსახურება ხუთი ძირითადი ამოცანის შესრულებას, როგორცაა: სამხრეთ აზიის სუბკონტინენტზე მშვიდობისა და აღორძინების სტაბილური ზონის შექმნა; მონაწილეობა აზიის მშვიდობისა და თანამშრომლობის არქიტექტურის ფორმირებაში; აზიის საზღვაო სიმიდრეების უსაფრთხოების უზრუნველყოფა; ინდოეთის ახალი საერთაშორისო როლის ზრდა, რაც დამოკიდებული იქნება მსოფლიო ეკონომიკაში მისი ინტეგრაციის ხარისხზე და, ასევე, მის უნარზე საკუთარი წვლილი შეიტანოს გლობალური პრობლემების მართვაში; ინდოეთის დემოკრატიული პრინციპების და ფასეულობების აქცენტირება საერთაშორისო ასპარეზზე.

სამხრეთ აზიაში მშვიდობის და აღორძინების მყარი ზონის შექმნა ინდოეთის საგარეო პოლიტიკის ყველაზე მთავარი ამოცანაა. პოლიტიკურ-გეოგრაფიული თვალსაზრისით, სამხრეთ აზია მოიცავს ინდოეთს, ბანგლადეშს, ბუტანს, მალდივებს, ნეპალს, პაკისტანსა და შრი-ლანკას (ზოგი განმარტების თანახმად, სამხრეთ აზიაში მოიაზრება ავღანეთიც). რეგიონის ცენტრშია ინდოეთი, ხოლო დანარჩენები სუბკონტინენტის პერიფერიებზე არიან განლაგებული. მხოლოდ ინდოეთს აქვს საერთო სახმელეთო და/ან საზღვაო საზღვარი რეგიონის ყველა სახელმწიფოსთან. არსებული გეოპოლიტიკური რეალობა დიდ როლს თამაშობს სამხრეთ აზიის რეგიონის სახელმწიფოთაშორის ურთიერთობათა სისტემაში. ამ ფაქტორიდან გამომდინარე, ინდოეთი თანმიმდევრულად აწვითარებს სტაბილურ პოლიტიკურ, ეკონომიკურ ურთიერთობებს სუბკონტინენტის მცირე ქვეყნებთან. რაც შეეხება ავღანეთს, ინდოეთის ინტერესმა ამ ქვეყნის მიმართ ასახვა პპოვა 2011 წელს ხელმოწერილ შეთანხმებაში სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ.

ინდოეთის დომინირებული რეგიონალური მდგომარეობა მის მეზობლებში უნდობლობის განცდას ბადებს, რის გამოც

სამხრეთ აზიაში საკმაოდ აქტიურია ცენტრიდანული ტენდენციები. კერძოდ, ქვეყნები შიშობენ, რომ სუბკონტინენტზე ინდოეთის გავლენის ზრდა, გამოიწვევს მის გადაქცევას “რეგიონულ ჰეგემონად”. ეს, თავის მხრივ, იწვევს მათ მცდელობებს განიმტკიცონ პოზიციები სხვა ძლიერ სახელმწიფოებთან ურთიერთობების განვითარებით. ინდოეთი კი კატეგორიული წინააღმდეგია სამხრეთ აზიის საქმეებში გარე ძალების ჩარევისა. აღსანიშნავია, რომ ინდოეთი ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრობლემას განიხილავს სამხრეთ აზიის მთელი რეგიონის უსაფრთხოების კონტექსტში.

სამხრეთ აზიის სახელმწიფოთაშორის ურთიერთობათა სისტემაში ყველაზე პრობლემურია ინდურ-პაკისტანური ურთიერთობები. განსაკუთრებული სიმწვავეით გამოირჩევა მათ შორის არსებული დავა ქაშმირის კუთვნილების გამო.

ინდურ-პაკისტანური დაპირისპირება, ავღანეთში გლობალური ტერორიზმის ზრდა, რეგიონში ბირთვული იარაღის არსებობა, ასევე ნეგატიური პროცესები, რაც დაკავშირებულია სასაზღვრო და რელიგიურ-ეთნიკურ პრობლემებთან, საფრთხეს უქმნის მშვიდობას სამხრეთ აზიაში.

ამის საპირისპიროდ, წარმატებულ ეკონომიკურ თანამშრომლობას შეუძლია საგრძნობი სარგებლის მოტანა კეთილდღეობის ზრდის თვალსაზრისით, როგორც ინდოეთისთვის, ისე სამხრეთ აზიის მთელი რეგიონისთვის.

საკვანძო სიტყვები: ინდოეთი, სამხრეთ აზია, საგარეო პოლიტიკა, პაკისტანი, გეოსტრატეგიული დომინირება.

დამოუკიდებლობის მოპოვების (1947) პირველივე დღეებიდან, ინდოეთის საგარეო პოლიტიკის მთავარი სტრატეგიული მიზანი იყო ინდოეთის რესპუბლიკის გადაქცევა ძლიერ და ანგარიშგასაწევ სახელმწიფოდ.

თანამედროვე ინდური დიპლომატია არის მრავალვექტორული და ორიენტირებულია საგარეო კავშირების დივერსიფიკაციაზე. ამ მიზნის მისაღწევად, ინდოეთი, ათწლეულების მანძილზე, ანვითარებს ურთიერთობებს მსოფლიოს გლობალური და რეგიონული მასშტაბის სახელმწიფოებთან (ჩინეთი, რუსეთი, აშშ, იაპონია და ა.შ.), აძლიერებს კავშირებს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის განვითარებად ქვეყნებთან (ეს პოლიტიკა ცნობილია სახელწოდებით „მზერა აღმოსავლეთისკენ“ (Look East Policy))

და ცდილობს განიმტკიცოს დომინანტური მდგომარეობა სამხრეთ აზიის სუბკონტინენტზე. დიდი მნიშვნელობა ენიჭება საერთაშორისო ტერორიზმთან და რელიგიურ ექსტრემიზმთან ბრძოლას.

ინდოეთი მიუხეობლობის მოძრაობის (Non-Aligned Movement) ერთ-ერთი დამფუძნებელი და აქტიური წევრი ქვეყანაა. რაც შეეხება ნიუ დელის დიალოგს ევროპის კავშირთან, რომელიც ინდოეთის წამყვანი სავაჭრო და საინვესტიციო პარტნიორია, ამ მიმართულებით წინა პლანზეა ეკონომიკური თემატიკა.

ვითარდება თანამშრომლობა სხვადასხვა რეგიონული ორგანიზაციებისა და გაერთიანებების ფარგლებშიც, როგორებიცაა: სამხრეთ აზიის რეგიონული თანამშრომლობის ასოციაცია (SAARC); სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ასოციაცია (ASEAN); ბენგალის ყურის ინიციატივა მრავალსექტორული ტექნიკური/ეკონომიკური თანამშრომლობისთვის (BIMSTEC); „ინდოეთი-ბრაზილია-სამხრეთ აფრიკის“ დიალოგის ფურუმი (IBSA Dialogue Forum) და ა.შ.

ზემოაღნიშნულთან ერთად, ინდოეთი მისწრაფვის მიიღოს მუდმივი წევრის სტატუსი გაეროს უშიშროების საბჭოში. ინდოეთი ასევე მომხრეა „დიდი ოცეულის“ ინსტიტუციონალიზაციის. დელის უკავია საკმაოდ ხისტი პოზიცია ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მოლაპარაკებებში, ბრალს სდებს რა განვითარებულ ქვეყნებს პროტექციონიზმის გაძლიერებაში. ინდოეთის რესპუბლიკა მხარს უჭერს ურთიერთქმედების დონის ამაღლებას „BRICS“-ის ფარგლებში. დელის ინტერესი სულ უფრო იზრდება შანჰაის თანამშრომლობის ორგანიზაციის მიმართ და ა.შ.

ინდოეთის თანამედროვე საგარეო პოლიტიკა ემსახურება ხუთი ძირითადი ამოცანის შესრულებას. კერძოდ, ეს ამოცანებია: სამხრეთ აზიის სუბკონტინენტზე მშვიდობისა და აღორძინების სტაბილური ზონის შექმნა; მონაწილეობა აზიის მშვიდობისა და თანამშრომლობის არქიტექტურის ფორმირებაში; აზიის საზღვაო სიმდიდრეების უსაფრთხოების უზრუნველყოფა; ინდოეთის ახალი საერთაშორისო როლის გაძლიერება, რაც დამოკიდებული იქნება მსოფლიო ეკონომიკაში ინდოეთის ინტეგრაციის ხარისხზე და, ასევე, მის უნარზე საკუთარი წვლილი შეიტანოს გლობალური პრობლემების მართვაში; ინდოეთის დემოკრატიული

პრინციპებისა და ფასეულობების აქცენტირება საერთაშორისო ასპარეზზე.

ინდოეთის რესპუბლიკის უპირველესი ამოცანა მდგომარეობს სამხრეთ აზიის სუბკონტინენტზე მშვიდობისა და აღორძინების სტაბილური ზონის შექმნაში. გასული საუკუნის 70-იანი წლების ბოლოდან, სუბკონტინენტის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში ადგილი ქონდა არაულობებს და ძაღადობრივ კონფლიქტებს. ინდოეთის მცდელობებს გამკლავებოდა ამ რყევებს, ხელი შეუშალა პაკისტანთან ურთიერთობების დაძაბვამ. თუმცა, ბოლო ათწლეულის განმავლობაში, ინდოეთმა და პაკისტანმა მიმართეს არაერთ მცდელობას (დიპლომატიური და პოლიტიკური ძალისხმევის ჩათვლით), რაც ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების ნორმალიზებას ისახავდა მიზნად.

ვითარდება თანამშრომლობა ავღანეთთან. ინდოეთი მხარს უჭერს ავღანელი ხალხის ძალისხმევას, ომით დანგრეული ეკონომიკის აღდგენის საქმეში. ინდოეთის მზარდმა ინტერესმა ავღანეთისადმი თავისი ასახვა ჰპოვა 2011 წელს ორ ქვეყანას შორის ხელმოწერილ შეთანხმებაში სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ.

ინდოეთი ანვითარებს ურთიერთობებს სამხრეთ აზიის სუბკონტინენტის სხვა ქვეყნებთანაც, ცალმხრივი წესით ხსნის თავის ბაზრებს ბანგლადეშთან, ნეპალთან, ბუტანთან, მალდივის კუნძულებთან, შრი-ლანკასთან, რაც ხელს უწყობს ამ უკანასკნელთა შიდა სტაბილურობასა და ეკონომიკურ წინსვლას.

სამხრეთ აზიის რეგიონის დიდ მნიშვნელობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ, ინდოეთის ინიციატივით, ჩამოყალიბდა სამხრეთ აზიის ფორუმი (South Asian Forum), რომლის პირველი შეხვედრაც ქ. ნიუ დელიში, 2011 წლის სექტემბერში შედგა.

ინდოეთი ცდილობს თავისი აქტიური წვლილი შეიტანოს აზიაში მშვიდობისა და თანამშრომლობის არქიტექტურის ფორმირებაში. აზიური ერთიანობისა და სოლიდარობის იდეამ ღრმა გავლენა იქონია ინდოეთის ეროვნულ მოძრაობაზე ჯერ კიდევ XX საუკუნის პირველ ათწლეულებში. ამ იდეამ კიდევ უფრო დიდი წინსვლა განიცადა 1940-50-იან წლებში. 21-ე საუკუნეში ეს იდეა გარკვეულწილად რეალობად იქცა. აზია არასდროს ყოფილა ისეთი ინტეგრირებული, როგორც დღეს არის. ამან ხელი შეუწყო კონტინენტის კეთილდღეობის

უპრეცედენტო ზრდას და აზია კვლავ ხდება მსოფლიო ეკონომიკის მნიშვნელოვანი მამოძრავებელი ძალა.

თუმცა, აზიაში არსებული სტრატეგიული მდგომარეობა შეიძლება ნებისმიერ დროს შეიცვალოს მსოფლიო პოლიტიკის მსხვილ მონაწილეებს შორის გავლენის სფეროებისთვის გამძაფრებული გეოპოლიტიკური მეტოქეობის გამო. ერთადერთი სახელმწიფო, რომელსაც გააჩნია მკაფიოდ ჩამოყალიბებული აზიური სტრატეგია, ამერიკის შეერთებული შტატებია. რაც შეეხება რუსეთის, ჩინეთის, იაპონიისა და ინდოეთის აზიურ პოლიტიკას, იქმნება შთაბეჭდილება, რომ მათ ეს ბოლომდე ჩამოყალიბებული არ აქვთ და ამის შესახებ მსჯელობა შესაძლებელია მხოლოდ აღნიშნული ქვეყნების კონკრეტული ქმედებებიდან გამომდინარე (მაღალი დონის ვიზიტების განხორციელება, მრავალმხრივი მოლაპარაკებებისა და ერთობლივი სამხედრო წვრთნების გამართვა და ა.შ.).

აზიაში არსებული ნეგატიური ტენდენციები განსაკუთრებით აშკარად ჩანს საზღვაო სფეროში. აღნიშნულის გამო, საზღვაო სიმიდრეების უსაფრთხოების უზრუნველყოფა ინდოეთის საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვანი ამოცანაა. ცალკეულ მცირე კუნძულებთან დაკავშირებული ტერიტორიული დავების გაძლიერება და, ასევე, ნაოსნობის თავისუფლების პრინციპის განსხვავებული ინტერპრეტაციები საფრთხეს უქმნის აზიურ წყლებს და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან კომუნიკაციებს, რაც აზიის სხვადასხვა ნაწილებს დანარჩენ მსოფლიოსთან აკავშირებს. ამასთან ერთად, სულ უფრო იზრდება საზღვაო ვაჭრობის როლი აზიის ეკონომიკურ ცხოვრებაში. რეგიონის ყველა მსხვილი სახელმწიფო, ინდოეთისა და ჩინეთის ჩათვლით, დღითიდღე აძლიერებს თავის საზღვაო პოტენციალს. ეს უშუალო კავშირშია აშშ-ის ინტერესებთან, რომელსაც დღემდე დომინანტი პოზიცია უკავია ინდოეთისა და წყნარ ოკეანეებში. ინდოეთი უკვე თანამშრომლობს ვაშინგტონთან საზღვაო უსაფრთხოების საკითხებში. ის ასევე აწარმოებს საზღვაო დიალოგს ჩინეთთან, ადენის ყურეში მეკობრეობასთან კოორდინირებული ბრძოლის თვალსაზრისით. ინდოეთმა თავის დროზე მხარი დაუჭირა აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ჰილარი კლინტონის ინიციატივას, რაც ითვალისწინებდა სამხსრივ ურთიერთქმედებას საზღვაო სფეროში ვაშინგტონს, პეკინსა და დელის შორის. დელიში მიაჩნიათ, რომ თანამშრომლობა

ინდოეთს, ჩინეთსა და აშშ-ს შორის აზიის საზღვაო უსაფრთხოების უზრუნველყოფის გასაღებია.

ინდოეთის ახალი საერთაშორისო როლის (ე.წ. ახალი ინტერნაციონალიზმის) ფორმირება ძირითადად ხორციელდება მსოფლიო ეკონომიკაში ინდოეთის ინტეგრაციის დონის გაღრმავებით. ორი ათწლეულის წინ, დანარჩენი მსოფლიო ნაკლებად მნიშვნელოვანი იყო ინდოეთის შიდაორიენტირებული ეკონომიკური სტრატეგიისთვის. დღეს ვითარება შეცვლილია. კერძოდ, ბოლო ორი ათწლეულის მანძილზე გატარებული რეფორმების გამო, ინდოეთის მთლიანი შიდა პროდუქტის (GDP) 40%-ზე მეტი საერთაშორისო ვაჭრობასთან არის კავშირში. ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპების შესანარჩუნებლად, ინდოეთს სჭირდება იმპორტირებული ენერჯისა და მინერალური რესურსების დიდი რაოდენობა.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ინდოეთის ერთ-ერთ ყველაზე დიდ პოლიტიკურ მიღწევას დემოკრატიული ფასეულობების დაცვა წარმოადგენს. ცივი ომის დასრულების შემდეგ, განსაკუთრებით ბოლო წლებში განვითარებული მოვლენების ფონზე („არაბული გაზაფხული“ და ა.შ.), განნდა არაერთი კითხვა იმის შესახებ, თუ რა უნდა გააკეთონ ინდოეთის დემოკრატიულმა ძალებმა იმისათვის, რომ დაესმარონ სხვა ერებს პოლიტიკური პლურალიზმის, კანონის უზენაესობისა და წარმომადგენლობითი მმართველობის განვითარებაში. მიუხედავად ამისა, იდნოეთი ავლებს მკაფიო ზღვარს საკუთარი დემოკრატიული ფასეულობების დაცვასა და ამ ფასეულობების სხვებისთვის თავსმოხვევას შორის.

ინდოეთის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა განსაკუთრებული ინტენსიურობით გამოირჩევა სამხრეთ აზიის სუბკონტინენტზე. სამხრეთ აზია არის რეგიონი, რომელიც მოიცავს ინდოეთს, პაკისტანს, ბანგლადეშს, ნეპალს, შრი-ლანკას, ბუტანს და მალდივის კუნძულებს. სამხრეთ აზია სხვა მომიჯნავე გეოგრაფიული რეგიონებისგან ბუნებრივი საზღვრებითაა გამოყოფილი. სამხრეთ აზიის სახელმწიფოების გეოსტრატეგიული მდგომარეობა საკმაოდ დიდი თავისებურებით გამოირჩევა. რეგიონის ცენტრშია ინდოეთი, ხოლო დანარჩენი სახელმწიფოები კი სუბკონტინენტის პერიფერიებზეა განლაგებული. მხოლოდ ინდოეთს აქვს საერთო სახმელეთო და/ან საზღვაო საზღვარი რეგიონის აბსოლუტურად ყველა სახელმწიფოსთან. დღეს არსებული

გეოპოლიტიკური რეალიები უდიდეს როლს თამაშობენ სამხრეთ აზიის სუბკონტინენტის სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობების სისტემაში.

სამხრეთ აზიის რეგიონის ქვეყნებს ძალიან ბევრი საერთო კულტურულ-ცივილიზაციური ფასეულობა აკავშირებთ. არც ფსიქოლოგიური ფაქტორია ნაკლებადმნიშვნელოვანი. წარსულში სამხრეთ აზიის ქვეყნები დიდი ბრიტანეთის კოლონიებს ან ნახევრადკოლონიებს წარმოადგენდნენ. საერთო ისტორია და ამოცანების ერთობა, რაც ისტორიული განვითარებითა და შრომის საერთაშორისო დანაწილებაში მათი არათანაბარი მდგომარეობითაა გამოწვეული, ხელს უწყობს რეგიონის ქვეყნებს შორის კავშირების გამყარებას.

ინდოეთზე მოდის სამხრეთ აზიის ტერიტორიის 73,4%, მოსახლეობის 76,5%, მთლიანი შიდა პროდუქტის 80%. მსგავსი თანაფარდობაა სამხედრო სფეროშიც. ინდოეთის რესპუბლიკის დომინირებული მდგომარეობა განსაზღვრავს რეგიონული კონფიგურაციის თავისებურებებს, რაც, ცალკეულ შემთხვევებში, სამხრეთ აზიაში ცენტრიდანული ტენდენციების გააქტიურებას უწყობს ხელს – რეგიონში ინდოეთის დომინირება მის მეზობლებში უნდობლობისა და საფრთხის შეგრძნებებს ბადებს. სამხრეთ აზიის ქვეყნები შიშობენ, რომ სუბკონტინენტზე ინდოეთის გავლენის ზრდა, გამოიწვევს მის გადაქცევას რეგიონულ ჰეგემონად. ეს, თავის მხრივ, იწვევს ამ ქვეყნების გააქტიურებას და მცდელობებს განიმტკიცონ პოზიციები სხვა ძლიერ ქვეყნებთან სამოკავშირეო ურთიერთობების განვითარებისა და, ასევე, ინდოეთთან არსებული სადაო საკითხების საერთაშორისო ასპარეზზე გატანის ხარჯზე. რაც შეეხება ინდოეთის მმართველ კლასს, ის ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრობლემას განიხილავს სამხრეთ აზიის მთელი რეგიონის უსაფრთხოების კონტექსტში. სწორედ ამ ფაქტორიდან გამომდინარეობს დელის მისწრაფება, მაქსიმალურად განამტკიცოს ინდოეთის დომინანტი მდგომარეობა ამ რეგიონში. ნიუ დელი კატეგორიული წინააღმდეგია სამხრეთ აზიის საქმეებში გარე ძალების, მით უფრო გლობალური მასშტაბის სახელმწიფოების ჩარევისა. ყველა შემთხვევაში, სამხრეთ აზიის მცირე ქვეყნებთან სტაბილური ურთიერთობების შენარჩუნება ინდოეთის საგარეო პოლიტიკის ქვაკუთხედაა.

სამხრეთ აზიის სუბკონტინენტზე უსაფრთხოების უზრუნველყოფის კუთხით, ინდოეთის საგარეო პოლიტიკას ახასიათებს სამი ძირითადი შემაღვენელი:

- რეგიონის ქვეყნების მიმართ ინდოეთის საგარეო პოლიტიკური კურსი არის ზეპარტიული თანხმობის საგანი, რაც ნიშნავს იმას, რომ ქვეყანაში მმართველი პარტიის შეცვლა არ იწვევს ცვლილებებს ინდოეთის ეროვნულ ინტერესებში.

- საკვანძო რეგიონული პრობლემების, ისევე, როგორც რეგიონის ქვეყნებს შორის ორმხრივ ურთიერთობებში არსებული დავების გადაწყვეტა, უნდა მოხდეს სამხრეთ აზიის სუბკონტინენტის ფარგლებში, გარე ძალების (აქტორების) ჩარევის გარეშე.

- რეგიონული მდგომარეობის სტაბილიზაციის მცდელობებისას, ინდოეთი ასევე ცდილობს სამხრეთ აზიის მცირე ზომის ქვეყნებში შიდაპოლიტიკური ვითარების ნორმალიზებას, ხელს უწყობს რა იქ დემოკრატიული პროცესების განვითარებას.

ინდოეთსა და მის მეზობლებს შორის სამხრეთ აზიის სუბკონტინენტზე არსებული უთანხმოებები, ძირითადად ვლინდება სასაზღვრო-ტერიტორიული, რელიგიურ-ეთნიკური და იმიგრაციული, ასევე მილიტარიზაციასთან და წყლის რესურსების განაწილებასთან დაკავშირებული პრობლემების სახით. რაც შეეხება თანამშრომლობის გამამყარებელ ფაქტორს, ასეთად ეკონომიკური კავშირები და რეგიონის ქვეყნების მსგავსი სოციალური პრობლემები გვევლინება.

სამხრეთ აზიის რეგიონის სახელმწიფოთაშორის ურთიერთობათა სისტემაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ინდურ-პაკისტანურ ურთიერთობებს, რაც გამოწვეულია ამ ორი ქვეყნის უდიდესი პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო წონით, ასევე მათ შორის არსებული დაპირისპირებით. თუმცა, ამ დაპირისპირებამ საგრძნობლად იკლო 2005 წელს. დღეს, ინდოეთსა და პაკისტანს შორის არსებულ უთანხმოებებს შორის, ყველაზე დიდი სიმწვავეთ გამოირჩევა ტერიტორიული დავა ქაშმირის კუთვნილების გამო.

ქაშმირი (ჩრდ. ინდოეთი) წარმოადგენს სამხრეთ აზიის ერთ-ერთ ყველაზე რთულ მონაკვეთს, ტერიტორიას, სადაც ერთმანეთში იკვეთება ინდოეთის, პაკისტანისა და ჩინეთის ინტერესები. სამართლებრივი თვალსაზრისით, პრობლემა დღემდე მოუგვარებელია. გაეროს იმ რეკომენდაციებმა, რაც

ითვალისწინებდა ქაშირიდან შეიარაღებული ძალების გაყვანასა და იქ რეფერენდუმის ჩატარებას, შედეგი ვერ გამოიღეს. დელი ქაშირს განიხილავს, როგორც ინდოეთის ტერიტორიის განუყოფელ ნაწილს და მზად იქნება უარი თქვას პრეტენზიებზე პაკისტანის ტერიტორიის მიმართ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისლამაბადი „კონტროლის ხაზს“ მუდმივ საზღვრად აღიარებს. პაკისტანის მმართველ ელიტას კი მშვენივრად ესმის, რომ ინდოეთთან ამ ტიპის კომპრომისზე წასვლა პოლიტიკური თვითმკვლელობის ტოლფასი იქნება. შექმნილი ჩიხური ვითარების გამო, ყველაზე მეტად თავად ქაშირის ადგილობრივი მოსახლეობა ზარალდება, რომელიც, ნაყოფიერი მიწისა და წიაღისეულის სიუხვის მიუხედავად, 70 წელიწადზე მეტია იძულებულია იცხოვროს მუდმივი კონფლიქტის პირობებში.

ინდოეთისა და პაკისტანის ერთმანეთისგან განსხვავებულ ეროვნულ ინტერესებს, პოლიტიკურ სისტემებს, პოლიტიკურ კულტურებსა და რელიგიურ ჰეტეროგენობას ასევე ემატება გეოსტრატეგიული ფაქტორიც. პაკისტანი ისლამური სამყაროს განუყოფელი ნაწილია, რაც საშუალებას აძლევს მას მიიღოს დამატებითი დახმარება (ეკონომიკური, სამხედრო და ა.შ.) და ამით კიდევ უფრო გააძლიეროს თავისი პოზიციები ინდოეთთან მიმართებაში. ინდურ-პაკისტანური კონფრონტაცია წარმოადგენს გამოწვევას ამერიკის შეერთებული შტატებისთვისაც, ვინაიდან, სამხრეთ აზია უშუალოდ უკავშირდება ცენტრალურ აზიასა და ახლო აღმოსავლეთს, რეგიონს, სადაც ვაშინგტონის გეოსტრატეგიული ინტერესებია თავმოყრილი.

ძალზედ რთულია ინდოეთისა და პაკისტანის ორი განსხვავებული მიდგომის შეთავსება რეგიონში სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების შეუქცევად განვითარებასთან. პაკისტანი კატეგორიულად არ აღიარებს მის დამოკიდებულ მდგომარეობას ინდოეთზე და აგრძელებს სამხედრო-პოლიტიკური კონტაქტების განვითარებას გარე ძალებთან. ინდოეთისთვის კი მიუღებელია გარე ძალების მონაწილეობა სამხრეთ აზიის უსაფრთხოების რეგიონულ სისტემაში.

რელიგიური ფაქტორი თამაშობს გადამწყვეტ როლს ინდოეთ-პაკისტანის ურთიერთობებში. ნიშანდობლივია, რომ, ისლამური კანონების თანახმად, ინდუისტები ან უნდა მოექცნენ ისლამის რჯულზე, ან საერთოდ განადგურდნენ. ეს

ურთულესი პრობლემაა. ერთის მხრივ, ისლამი გვევლინება, როგორც ეროვნული ინდენტურობის ცივილიზაციურ-კულტურული ფაქტორი რეგიონში. მეორეს მხრივ კი, რეგიონში ისლამური ფუნდამენტალიზმის ზომაზე მეტად გაძლიერების შემთხვევაში, სამხრეთ აზიის სუბკონტინენტი შესაძლოა გადაიქცეს საერთაშორისო თანამეგობრობასთან ბრძოლის მთავარ ასპარეზად. პროცესმა შესაძლოა იქონიოს უარყოფითი გავლენა ინდოეთის რესპუბლიკის შიდა განვითარებაზეც. ისლამური ფუნდამენტალიზმის ზრდა გავლენას მოახდენს, როგორც ინდოეთის 100 მილიონიან (13,4%) მუსლიმ მოსახლეობაზე, ისე 800 მილიონიან (80,5%) ინდუიზმის მიმდევარ მოსახლეობაზეც. კერძოდ, ინდუისტური შოვინისტური წრეების ძალისხმევით გამო, პროცესი გამოიწვევს რელიგიური ფუნდამენტალიზმის გაღვივებას თავად ინდოეთშიც. არც ის არის შემთხვევითი, რომ გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან ინდუიტი ფუნდამენტალისტების პოზიციები საგრძნობლად გაძლიერდა ინდოეთში. ბოლო წლებში, ინდოეთის ზოგ შტატში ადგილი ქონდა რელიგიურ ნიადაგზე წარმოქმნილ ფართომასშტაბიან შეტაკებებს, რასაც მოსახლეობის მსხვერპლიც მოყვა. ამ პროცესის არასასურველი მიმართულებით გაგრძელების შემთხვევაში, საფრთხე დაემუქრება ინდოეთის ერთიანობას, მის სტაბილურობასა და საპარლამენტო დემოკრატიას.

რელიგიური ფაქტორი აქტუალურია არა მხოლოდ ინდურ-პაკისტანური ურთიერთობებისთვის, არამედ სამხრეთ აზიის მთელი რეგიონისთვის. რელიგიური ექსტრემიზმის გავლენა ინდოეთ-პაკისტანის ურთიერთობებზე პირდაპირ კავშირშია ისლამიზმის ტალღის აღზევებასთან, რასაც ადგილი ქონდა გასული საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს ახლო აღმოსავლეთის არაბულ ქვეყნებში, ავღანეთსა და პაკისტანში. რაც შეეხება უშუალოდ ჯიჰადის მონაწილეთა გამოჩენას ჯამუსა და ქაშმირის ტერიტორიაზე, ამას მოყვა ინდოეთის ამ ორ შტატში ანტისამთავრობო გამოსვლების ესკალაცია, რამაც შემდგომში მიიღო დივერსიულ-ტერორისტული ქმედებების სახე.

როგორც ინდოეთში, ისე პაკისტანშიც გამოხატავენ უკიდურეს შემოფოთებას მილიტარიზაციის პროცესთან დაკავშირებით, რაც ხორციელდება მეორე მხარის მიერ. პროცენტულ თანაფარდობაში, პაკისტანი ხარჯავს თავდაცვაზე უფრო მეტს, ვიდრე ინდოეთი. თუმცა, აბსოლუტურ ციფრებში,

ინდოეთის უპირატესობა აშკარაა ყველა ძირითადი კომპონენტის მიხედვით. ინდოეთის სამხედრო პოტენციალი შეუდარებლად დიდია. „რენდ ქორფორეიშენის“ (RAND Corporation) სპეციალისტთა პროგნოზით, 2015 წელს ინდოეთის სამხედრო კაპიტალი გაუტოლდება ჩინეთის ანალოგიურ მაჩვენებელს და სამჯერ გადააჭარბებს იაპონიის მაჩვენებელს.

ინდოეთ-პაკისტანის ურთიერთობების და, ზოგადად, სამხრეთ აზიის რეგიონული უსაფრთხოების ერთ-ერთ ყველაზე რთულ პრობლემას წარმოადგენს ორივე ქვეყანაში ბირთვული პროგრამების განვითარება. არცერთმა არ მოაწერა ხელი ხელშეკრულებას ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ. ინდოეთმა უარი თქვა მის ხელმოწერაზე ჯერ კიდევ 1983 წლის მაისში. ასევე უშედეგოდ დამთავრდა ვაშინგტონის ყველა მცდელობა, დაერწმუნებინა პაკისტანი ხელი მოეწერა ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ ხელშეკრულებისთვის. ისლამაბადში აცხადებენ, რომ პაკისტანი ხელს მოაწერს ამ დოკუმენტს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ინდოეთიც ანალოგიურად მოიქცევა. 1974 წელს პაკისტანი სპეციალური ინიციატივითაც გამოვიდა, რომლის თანახმადაც სამხრეთ აზია უნდა გამოცხადებულიყო ბირთვული იარაღისგან თავისუფალ ზონად. ინდოეთის მთავრობაში კი განმარტავენ, რომ მსგავსი მიდგომა მიუღებელია დელისთვის, რადგან ინდოეთს შესაძლოა საფრთხე დაემუქროს არა მხოლოდ პაკისტანისგან, არამედ სხვა ქვეყნის მხრიდანაც, გულისხმობენ რა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას. კერძოდ, დელიში მიაჩნიათ, რომ სამხრეთ აზიის გამოყოფა დანარჩენი აზიისგან ამ შემთხვევაში არ არის მართებული იმ მიზეზის გამო, რომ ჩინეთი უკვე ფლობს მძლავრ ბირთვულ არსენალს და ბალისტიკური რაკეტების სპეციალური ბაზებიც განათავსა ტიბეტში.

2013 წლის აგვისტოში, ოფიციალურმა დელიმ გაავრცელა შეტყობინება, რომლის თანახმადაც ინდოეთის ქაშირის შტატში 6 კაცისაგან შემდგარი ინდოელ მესაზღვრეთა რაზმი, რომელიც ახორციელებდა ე.წ. „კონტროლის ხაზის“ გეგმიურ პატრულირებას, თავდასხმის მსხვერპლი გახდა, რომელშიც მონაწილეობდნენ როგორც ტერორისტული ჯგუფებები, ისე პაკისტანის არმიის საკადრო ოფიცრებიც. ამ ინციდენტის შემდეგ საფრთხის ქვეშ დადგა არა მხოლოდ ქაშირის საკითხზე მიმდინარე მოლაპარაკების პროცესი, არამედ რეგიონში არსებული ის შედარებითი სტაბილურობა, რაც

ორივე მხარის ბოლო წლების აქტიური მუშაობის შედეგი იყო. როგორც წესი, მსგავსი სასაზღვრო ინციდენტები ინდოეთსა და პაკისტანს შორის ხდება სწორედ მაშინ, როდესაც იდგმება კონკრეტული ნაბიჯები ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების ნორმალიზების კუთხით. მსგავს ფაქს ქონდა ადგილი 2013 წლის იანვარშიც, როდესაც მოლაპარაკებათა პროცესი ჩაიშალა იმის გამო, რომ სასაზღვრო ზოლში ინდოელი მესაზღვრის თავმოკვეთილი გვამი იპოვნეს.

ინდოეთის რესპუბლიკასა და პაკისტანის ისლამურ რესპუბლიკას შორის არსებული პრობლემების სიმრავლის მიუხედავად, ორი ქვეყნის მთავრობების ძალისხმევით დიდი ნაწილი სწორედაც რომ ურთიერთობების გაუმჯობესებისკენ არის მიმართული. ამ ძალისხმევამ შედეგებიც გამოიღო. დღეს ინდოეთი და პაკისტანი ახორციელებენ საგზაო რუკას ორმხრივი სავაჭრო ურთიერთობების კომპლექსური ნორმალიზებისთვის. 2012 წლის სექტემბერში კი ინდოეთმა და პაკისტანმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას შეზღუდული სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის შესახებ და ა.შ. ინდოეთისა და პაკისტანის თანამშრომლობის უმთავრეს მასტიმულირებელ ფაქტორად ეკონომიკა გვევლინება. სოციალური სტრუქტურების, ეკონომიკური განვითარების დონეებისა და მოდელების მსგავსებას, მათ სიახლოვეს, უდაოდ პოზიტიური გავლენის მოხდენა შეუძლია ორმხრივ ურთიერთობებზე – ჯერ ეკონომიკურ ქვესისტემაზე, ხოლო შემდგომში კი პოლიტიკურ ქვესისტემაზეც. ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია, რომ ბოლო ათწლეულების მანძილზე, საგრძნობლად გამყარდა პაკისტანის მსხვილი სავაჭრო-სამრეწველო ბურჟუაზიის პოზიციები. ეს სწორედ ის სოციალური ფენაა, რომელიც ყველაზე მეტად არის დაინტერესებული ინდოეთთან ხელსაყრელ ეკონომიკურ თანამშრომლობაში. მიუხედავად ამისა, თანამშრომლობის პროცესი ფერხდება დაძაბული პოლიტიკური ურთიერთობების გამო.

დასკვნა

სამხრეთ აზიის სუბკონტინენტზე მშვიდობისა და აღორძინების სტაბილური ზონის შექმნა წარმოადგენს ინდოეთის საგარეო პოლიტიკის უმთავრეს ამოცანას 21-ე საუკუნეში. დღეს ინდოეთის რესპუბლიკა უკვე არის დომინანტი ძალა სამხრეთ აზიის სუბკონტინენტზე, როგორც სამხედრო-პოლიტიკური, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით.

თუმცა, მის მეზობლებს ამის აღიარება უჭირთ. ამასთან, დელი ძალისხმევას არ იშურებს იმისათვის, რომ მისი გავლენა რეგიონში კიდევ უფრო გაიზარდოს. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ეროვნული და რეგიონული უსაფრთხოების პრობლემებს და, ამ კონტექსტში, ინდოეთის ურთიერთობებს პაკისტანის ისლამურ რესპუბლიკასთან.

პაკისტანის ისლამური რესპუბლიკა ინდოეთს აღიქვამს, როგორც მთავარ სტრატეგიულ მოწინააღმდეგეს. 1971 წლის ომის შემდგომ პერიოდშიც, პაკისტანი კვლავ რჩება ინდოეთის ერთადერთ პოტენციურ მეტოქედ სამხრეთ აზიის რეგიონში. მიუხედავად იმისა, რომ პაკისტანი ფლობს ინდოეთის რესპუბლიკის ეკონომიკური, ტერიტორიული და დემოგრაფიული პოტენციალის მხოლოდ მერვედ წილს, ის მაინც რჩება რეგიონის ძლიერ სახელმწიფოდ, რაც საშუალებას აძლევს პაკისტანის მმართველ ელიტას არ შეეგუოს ინდოეთის დომინანტ მდგომარეობას სუბკონტინენტზე.

სამხრეთ აზიის სუბკონტინენტზე სიტუაცია უმეტესწილად რთულდება და მომავალშიც გართულება გეოსტრატეგიული ფაქტორის გამო, ვინაიდან პაკისტანი უშუალოდ ესაზღვრება მუსლიმურ ქვეყნებს. გარდა ამისა, მადესტაბილიზებელ ფაქტორს წარმოადგენს “ავღანეთის პრობლემის” მოუგვარებლობაც. ამ რეგიონში სტაბილურობის დამყარება, შესაძლებლობას მისცემს ინდოეთს განახორციელოს მასშტაბური ეკონომიკური თანამშრომლობა და მოახდინოს ისეთი მნიშვნელოვანი ტრანსნაციონალური პროექტების რეალიზაცია, როგორიცაა, თუნდაც, გაზსადენის მშენებლობა ირანიდან (ან თურქმენეთიდან) ინდოეთის მიმართულებით და ა.შ. შესაბამისად, უსაფრთხო, სტაბილურ გარემოსა და ეკონომიკურ თანამშრომლობას ალტერნატივა არ აქვს.

ლიტერატურა

References:

1. Avtar Singh Bhasin. India’s Foreign Relations – 2012 Documents, Public Diplomacy Division, Ministry of External Affairs, Geetika Publishers, New Delhi, 2013.
2. Hoge, James F., Jr. A Global Power Shift in the Making // Foreign Affairs, July/August, 2004.

3. India 2004, a referenca annual, Ministry of Information and Broadcasting, Government of India, 2004.
4. India Rediscovering East Asia, 24 October 2007., See at: http://www.pinr.com/report.php?ac=view_report&report_id=706&language_id=1
5. Kapila, S. India's new Government and its foreign policy options: an analysis // Saag paper, 06.07.04., No. 1049.
6. Kishore C. Dash, The Political Economy of Regional Cooperation in South Asia, Pacific Affairs, Vol. 69, no. 2 (Summer 1996).
7. Ramachandran, S. Indian foreign policy: Left foot forward // Asia Times online, 15.05.04.
8. Wildmalm, Sten. Kashmir in Comparative Perspective: Democracy and Violent Separatism in India. London: Routledge Curzon, 2002.
9. Ядерное противостояние в Южной Азии / Под ред. А.Г. Арбатова, Г.И. Чуфрина, М.: Московский центр Карнеги, 2005.

David Pipinashvili

The Main Objectives of Indian Foreign Policy and its Geostrategic Dominance on the Subcontinent of South Asia

Summary

There are several major objectives of India's foreign policy in the 21st century of which the most important are: the establishment of a stable zone of peace and prosperity on the Subcontinent of South Asia; the formation of a stable architect for peace and cooperation in Asia; the peaceful settlement of marine assets of Asia; the reinforcement of a new international role of India; and defending democratic values on International arena.

The establishment of a stable zone of peace and prosperity in South Asia is the main priority of India's foreign policy. South Asia typically consists of India, Bangladesh, Bhutan, the Maldives, Nepal, Pakistan and Sri Lanka (some definitions may also include Afghanistan). India dominates the whole area geographically. It is the only country that shares a large coast line with all the other six states while none of them have common borders with each other. In this regard, India has implemented a policy of asymmetric engagement in providing greater market access to its neighbours, which enables integration in a mutually beneficial manner. As for Afganistan, India's commitment to Afganistan is reflected in its Strategic Partnership Agreement of October 2011.

Essentially India's approach towards its neighbours is predicated upon the need to develop mutually beneficial relationships to ensure a peaceful, secure and stable neighbourhood. It is India's belief that its growth should have a beneficial impact on the region.

Today India is the dominant Regional Power of South Asia, but not in the imperialist sense. India is the leader in the field of development, resources, technology and so on. However, at several occasions the actions of India have been seen as steps taken towards the goal of becoming the —Regional Hegemon||.

Two aspects of India's foreign policy based on its national interest are often misunderstood by the South Asian neighbours and especially by Pakistan. First, India is concerned about its dominant status in the region. Thus, India has always opposed outside intervention in South Asian affairs. Second, contrary to her neighbour's perception, India has a vital interest in the territorial integrity, sovereignty, and independence of all the South Asian countries. India expects that the South Asian countries should also respect India's unity and territorial integrity.

The most crucial and serious problem that divides South Asia is the Indo-Pakistan conflict over Kashmir. India and Pakistan have divergent national ideologies and have been unable to establish a mutually acceptable power equation in South Asia.

The Indo-Pakistan conflict, the rise of global terrorism in Afghanistan, spillover effects of the ethnic and religious conflicts, cross-border terrorism, and the magnitude of bilateral disputes in South Asia, have threatened peace in this region.

Successful economic cooperation would yield a substantial peace dividend with direct welfare raising impact for India, as well as for the entire South Asian region.

Keywords: India, South Asia, Foreign Policy, Pakistan, Geostrategic dominance.

Reviewer: Professor Shota Dogonadze, Georgian Technical University

Давид Пипинашвили

Основные задачи внешней политики Индии и ее геостратегическое доминирование на Юго-азиатском субконтиненте

Резюме

Можно выделить пять главных задач, которые стоят перед внешней политикой Индии в XXI веке: создание зоны мира и процветания на Юго-азиатском субконтиненте; строительство стабильной архитектуры для мира и сотрудничества в Азии; обеспечение безопасности морского достояния Азии; усиление новой международной роли Индии (новый интернационализм); и отстаивание демократических ценностей на международной арене.

Создание зоны мира и процветания в Южной Азии является самой важной задачей внешней политики Индии. В политико-географическом отношении Южная Азия включает следующие государства: Индия, Бангладеш, Бутан, Мальдивы, Непал, Пакистан, Шри-Ланка (другие определения могут также включать Афганистан). Географически Индия доминирует на всем пространстве субконтинента. Наличие сухопутных и/или морских границ со всеми странами Южной Азии, являющихся непосредственным окружением Индии, играет большую роль для системы региональных межгосударственных связей. Исходя из этого, Индия поддерживает и развивает стабильные политические и экономические отношения с малыми государствами Южной Азии. Что касается Афганистана, интересы Индии к этому государству находят свое отражение в соглашении о стратегическом партнерстве, подписанном в октябре 2011 года.

Несмотря на преимущества интеграции, в Южной Азии очень сильны центробежные тенденции. Естественное доминирование Индии, предопределяющее развитие региональной обстановки, вызывает у соседей недоверие к ней. В частности, они опасаются, что Индия может стать «Региональным гегемоном». Это приводит к активизации с их стороны попыток укрепить свое положение на региональной и международной арене путем опоры на другие сильные державы. Однако, Индия выступает против любого вмешательства извне во внутренние дела Южной Азии. При этом, проблема обеспечения своей безопасности Индией рассматривается в рамках обеспечения безопасности всей Южной Азии.

Основной проблемой в системе межгосударственных отношений в Южной Азии являются индийско-пакистанские отношения. Внешне самое острое противоречие между двумя странами связано с вопросом о принадлежности Кашмира.

Индо-Пакистанский конфликт, рост глобального терроризма в Афганистане, наличие ядерного оружия в регионе, а также негативные процессы, которые проявляются в форме пограничных и религиозно-этнических проблем, подрывают мир в Южной Азии.

Успешное экономическое сотрудничество будет приносить существенные дивиденды в виде растущего благосостояния как для Индии, так и для всего региона Южной Азии.

Ключевые слова: Индия, Южная Азия, Внешняя политика, Пакистан, Геостратегическое доминирование.

Рецензент: Профессор Шота Догонაძე, Грузинский технический университет.

УДК 23/28+322.2

Олег Шепетяк

**Богословие и политика в немецкоязычной религиозной мысли
XX века**

В статье проведен анализ эволюции понятия политического богословия от истоков до современного его осмысления в немецкоязычной философии. Рассмотрены наработки в этом вопросе древнеримского мыслителя М.Т. Варрона. Показано средневековое раскрытие политического богословия в моделях соотношения Церкви и государства, а именно в византийской симфонии Церкви и государства и в западноевропейской теории двух мечей. Проведен анализ политической теологии К. Шмитта и Л. Штрауса, а также выделена концепция новой политической теологии Й.Б. Метца.

Ключевые слова: *теология, политика, отношения между Церковью и государством, Шмитт, Штраус, Метц.*

Природа человеческого разума построена так, что он пытается осмыслить все аспекты своего бытия и своего отношения к действительности. Поскольку человек – это многогранная сущность, охватывающая своей деятельностью и проникновением своего ума все, что его окружает, он одновременно рефлектирует о разных проявлениях бытия, нередко синтезируя их в единственную мозаику мировоззрения. Религиозному человеку присуще желание увидеть и объяснить окружающую действительность сквозь призму его религиозной веры, которая служит ему не только средством общения с Богом, но и светом, помогающим ему дать ответы на трудные вопросы своего существования. Среди вопросов, которые от момента первой встречи с окружающими людьми волнует человека, особое место занимает осмысление социально-политической действительности, то есть стремление к выработке такой модели общественной жизни, в которой каждый человек мог бы чувствовать себя счастливым и удовлетворенным. Для верующих людей, которые верят в спасение, дарованное им Богом, и ощущают его в своей повседневной жизни, религия проливает свет также и на социально-политическую жизнь.

На протяжении веков не один раз на страницах многочисленных трактатов и монографий, а также научных журналов появлялись попытки религиозного осмысления политических процессов и формирования моделей общественной жизни, основанной на

религиозных идеалах. Бесспорно, эти попытки не всегда увенчивались успехом; иногда они были полностью ошибочными. Но поскольку не ошибается только тот, кто ничего не делает, даже не состоятельные системы достойны изучения и анализа, посредством которых они все же могут быть полезными будущим поколениям. Не были защищены от ошибок и религиозные политически-социальные системы. Но все же большинство из них принесли много позитивных моментов в жизнь человечества. Христианская религиозно-политическая мысль сыграла большую роль в организации общественной жизни европейских народов и оставила существенный след в цивилизационных построениях современного мира.

Религиозное осмысление социально-политических процессов оборачивается вокруг понятия политической теологии, смысл которой на протяжении двухтысячелетней истории христианской Европы неоднократно изменялся, но все же не сдвинулся со своего главного фундамента. Начало развития этого понятия было заложено еще в древнем Риме. Оно появилось в трудах античного мыслителя и юриста Марка Теренция Варрона, который выделял три понятия теологии, а именно "theologia civilis", "theologia mythica" и "theologia naturalis". Под понятием "theologia civilis" М.Т.Варрон понимал официальный государственный культ древнего Рима. Античная римская культура характеризовалась плюрализмом религиозной жизни. Хотя в Риме существовал традиционный пантеон, во главе которой стоял Юпитер, далеко не все население империи, и даже стольного града, исповедовало эту религию. Интенсивные войны и торговые отношения, а также неоднородность населения города и наличие многих этнических групп, переселявшихся в Рим в поисках материальных благ, сформировали сложную религиозную ситуацию, в которой довольно мирно сосуществовали множественные религиозные культы. Государственная власть при этом сформировала официальный культ, который считался обязательным для всех римских граждан. В центре этой религии стоял культ императора, согласно которому все римляне обязывались признавать монарха богом и воздавать ему божественные почести, среди которых наиболее популярным было каждение ладана подле памятника императору. Этот официальный культ М.Т.Варрон и именовал *theologia civilis*, то есть термином, который впоследствии переводили на европейские языки как "политическая теология". Кроме этого М.Т.Варрон выделял так называемую *theologia mythica*, под которой он понимал мифическую и народную набожность, то есть те проявления религиозной жизни, которые практиковались в Риме, но не входили в набор гражданских

религиозных повинностей. Государственная власть не запрещала эти религиозные культы, если они не противоречили официальной религиозности. Под понятием *theologia naturalis* мыслитель понимал философское осмысление религиозности, которое неоднократно встречается в трудах античных философов.

Средневековье приносит новое понимание политического богословия. Средние века в европейской культуре отличались доминированием одной религии – христианства, которая в силу своих позиций в цивилизационных и ментальных построениях того времени не нуждалась в официальном принуждении. Осмысление политической сферы в новой религиозной ситуации переносится с области официального культа в проблему отношений Церкви и государства. Римская империя в этом плане жила в иных условиях. Император был одновременно и главой государства с неограниченной политической властью и богом, который объединял небесное и земное, сакральное и профанное. В христианской европейской культуре эти две функции разъединились. Один и тот же человек оказался членом двух полностью отличных по своей сущности социальных институтов – Церкви и государства. Поскольку членами Церкви и гражданами государства были одни и те же люди, возник вопрос о разделении их функций и в то же время об их содействии. Нужна была модель, которая бы определяла соотношения проекций потустороннего и посюстороннего в конкретной жизни человека и общества. Такие модели были сформированы. Они восприняли в себя влияние обоих заинтересованных сторон: религиозные основания общества и социально-политические процессы средневековой Европы. Западные и восточные части европейского континента двигались разными путями политического развития: на Востоке существовала могучая Византийская империя, которая объединяла большую часть восточного христианского мира, при этом Церкви были разделены на несколько патриархатов, которые сосуществовали на более или менее паритетных условиях. Роль объединяющего фундамента играло государство. Иной была ситуация на европейском Западе. Распад западной Римской империи, заселение германцев, которые только формировали свои молодые государства путем воин, объединений, распадов и постоянного перечерчивания демаркационных линий континента, сделали Западную Европу политически раздробленной. Эта раздробленность сохранялась вплоть до 800 года, когда Папа Лев III короновал Карла Великого на императора франков. В этих условиях роль объединяющего звена сыграла Церковь. Если в Византии государство часто должно было вступать в церковные дела

с целью сохранения единства и в роли третьей стороны для решения церковных проблем, ересей и расколов, то на Западе все происходило с точностью наоборот: единственная мощная Церковь выделялась на фоне небольших и нестабильных государств не только как духовная институция, но и как политическое сверхгосударственное образование, которое владело достаточной властью и общественным влиянием, чтобы изменять ход истории.

В силу исторической ситуации, сложившейся в европейском средневековом обществе и отличающейся в зависимости от специфики регионов, в Европе сформировались две господствующие модели церковно-политических отношений. Речь идет о симфонии Церкви и государства и теории двух мечей. Первая из них сформировалась и воплотилась в жизнь в Византийской империи. Некоторые исследователи считают ее "эмбриональным периодом в зарождении и первобытном развитии отношений между религией (Церковью) и государством, сложившихся в христианстве" [1, 151]. Именно "в Византии были выработаны главные принципы церковно-государственных отношений, зафиксированных в канонах и государственных законах империи, отображены в святоотеческих писаниях. В своей полноте эти принципы получили название симфонии Церкви и государства" [3, 418]. Свое полное формулирование симфония получила в шестой новелле Номоканона императора Юстиниана: "Великие блага, дарованные людям высшей благодатью Божьей, есть священство и царство, с которых первое печется о божественных делах, а второе управляет и печется человеческими делами, а оба, исходя с одного и того же источника, складывают украшение человеческой жизни. Поэтому ничто не лежит так на сердце царей, как честь священнослужителей, которые со своей стороны служат им, молясь беспрестанно за них Богу. И, если священство будет во всем доброе и угодно Богу, а государственная власть будет по правде управлять вверенном ей государством, тогда будет полное согласие между ними во всем, что служит на пользу и добро человеческого рода. Поэтому мы прилагаем большие усилия к обороне истинных догматов Божьих и чести священства, надеясь получить через это великие блага от Бога и крепко держать те, которые имеем" [2, 681]. В IX веке симфония нашла свое отображение в церковных документах. Сборник церковных канонов Эпанагога гласит: "Светская власть и священство относятся между собой, как тело и душа, необходимые для государственного устоя так само, как тело и душа в живом человеке. В связи и согласии их лежит благо государства" [2, 683]. Сложившаяся в Византии модель симфонии

Церкви и государства имела не только социально-политические предусловия, но также исторически-культурные и богословские. Во-первых, в памяти византийцев, которые именовали себя римлянами, а свое государство Римской империей, очень ярко проявлялось настроения, жившие в Риме. Если Римский император присваивал себе титул Pontifex Maximus (большой строитель мостов), который носил не политическую, а религиозную смысловую нагрузку, то есть знаменовал верховного жреца, а не государственного лидера, то в Византии осталась тенденция видеть и в христианском императоре не только политическую персону, но и религиозный авторитет. Во-вторых, попытка объединить светское государство с духовной Церковью исходила также из богословских предпосылок христианской антропологии, сформированной в Халкедонско-Ефесском христологическом догмате, который определяет соединение Бога и человека в лице Иисуса Христа как воссоединение, не стирающее ни одной черты объединяющихся сущностей. За принципом аналогии строилась и модель симфонии, объединяющая духовное и физическое в одном и том же человеке, но сохраняя проявления обоих аспектов человеческой сущности, вплоть до общественных объединений с полной системой власти.

Западная Европа избрала иной путь осуществления церковно-государственных отношений. Из явного господства Церкви над государственными образованиями в раннем Средневековье Западной Европы выросла модель отношений, получившая название "теории двух мечей" (*doctrina de duo gladii*). Эта теория основывалась на убеждении, что Христос, как истинный царь всего мира, оставил своему наследнику, Папе Римскому, всю полноту власти: духовной и светской. Символом власти было принято считать меч. Поэтому два меча – это символ духовной и светской власти. Понтифик, желая лучшей реализации власти во благо человечества, оставляет меч духовной власти (*gladius spiritualis*) в своих руках, а меч мирской власти (*gladius materialis*) передает светским монархам. Поэтому власть правителей исходит не от народа, как это принято считать с современной либеральной демократии, а от Бога и через Папу Римского. Понтифик помазывал на царство наследников престола, этим припоминая будущему правителю с чьих рук он эту власть получает, принимает участие в спорах о престолонаследии, распределяет новые земли, но не только... В его власти также и забрать корону, отлучить монарха от Церкви и освободить подданных короля или императора от обязанности послушания и повиновения монарху, как это было во время борьбы за инвеституру. Основания

теории двух мечей заложил Папа Геласий I, а пика своего развития она достигла во время понтификата Папы Григория VII. Наиболее полно теория двух мечей раскрыта в булле Бонифация VIII "Unam sanctam" 1302 года, которая раскрывает проблему церковно-государственных отношений в полемике с французским королем Филиппом IV Красивым.

Новый дух в европейское мышление принес конец XIX и начало XX веков. В это время Европа и европейцы пережили сложные ментальные, политические, экономические, культурные, личностные и многие другие изменения. Европа стала новой, открыла новые возможности, но и столкнулась с новыми проблемами, преодоление которых требует новых подходов. Изменилось и понимание термина "политическое богословие". Его начали использовать в полностью новом значении и новых контекстах. Автором концепции политического богословия на рубеже столетий стал немецкий философ и юрист Карл Шмитт, личность которого по сей день вызывает множество неоднозначных оценок. Не прибегая к анализу трудов этого мыслителя ни с позиции политической нравственности, ни с точки зрения социальных следствий, попытаемся безоговорочно затронуть его учения. К. Шмитт – консерватор, ищущий путей наилучшего развития его родины [5, 71]. Он не богослов. Поэтому понятие "политическое богословие" в контексте К. Шмитта следует понимать прежде всего как политику, или иными словами: целью его деятельности была политика, а богословие – средство достижения поставленной цели. В средневековой богословско-политической мысли, в случаях обоих сформировавшихся моделей церковно-государственных отношений, религиозные цели ставились на первый план, а политическая действительность воспринималась как средство достижения этой цели. Поэтому К. Шмитта нельзя оценивать с использованием критериев, применение которых к богословам выглядит естественно. Жизненный путь и расцвет творчества К. Шмитта совпал с глубоким кризисом германского общества. Поражения в Первой мировой войне, падение империи, с таким трудом построенной императором Вильгельмом I Гогенцоллерном и рейхсканцлером Отто фон Бисмарком, возникновение шаткой Веймарской республики, кризисы во всех проявлениях гражданской жизни.

Все это не могло, не отобразится на способе мышления большого патриота, который страстно желал возрождения былой славы Германии и выхода с продолжительного кризиса. Причину проблем Германии К. Шмитт видел в отклонениях от порядков, царивших в прошлом. Государство для возрождения, по мнению К. Шмитта,

нуждалось в решительности и твердости позиции его лидеров. Власть не терпит никаких церемонностей и снисхождений, которая вкоренилась в либеральной демократии. Вследствие Ноябрьской революции 1919 года император Вильгельм II, внук основателя Второго Рейха, отрекся от престола и переехал в Голландию. Государство, еще долго сохраняя в официальном названии слово "империя", руководствовалось республиканским строем правления. Бедность, материальные недостатки, безработица, постоянные обесценивание валюты, общегражданская депрессия вызывали регулярные мелкие восстания и общественные беспорядки, которые еще больше угнетали общество и делали выход из кризиса практически невозможным.

 - право отказаться от процессуального соглашения о признании вины;
 - право на рассмотрение судом дела по существу;
- процессуальное соглашение не является результатом принуждения, устрашения обвиняемого или обещания, которое выходит за рамки процессуального соглашения;
- обвиняемый согласен с фактическими основаниями процессуального соглашения о признании вины;
- все условия достигнутого между обвиняемым и прокурором соглашения отражены в процессуальном соглашении;

- обвиняемый и его адвокат в полном объеме ознакомлены с материалами дела [10].

Действительно, такие условия значительно расширяют гарантии защиты обвиняемого от возможных злоупотреблений со стороны органов досудебного расследования, прокурора и суда. Поэтому, с целью дальнейшей разработки института уголовных производств на основании соглашения о признании вины и его законодательного обеспечения в Украине, необходимо урегулировать вопрос гарантий обеспечения интересов подозреваемого и обвиняемого, который дал согласие на сотрудничество, закрепив тем самым аналогичные основания в нормах уголовного процессуального закона Украины, так как положения УПК Украины не предусматривают достаточных гарантий защиты от возможных злоупотреблений со стороны правоохранительных органов, в отличие от положений УПК Грузии рассмотренных нами выше.

Кроме того, акцентируем внимание на необходимости обязательного участия в данном производстве защитника, поскольку последний может быть привлечен следователем, прокурором, следственным судьей или судом в случаях, предусмотренных Законом Украины от 2 июня 2011 № 3460 VI «О бесплатной правовой помощи» (с изменениями и дополнениями от 18 сентября 2012) [11].

Заметим, что ч. 1 ст. 48 УПК Украины также предусматривает, что защитник может в любой момент быть привлечен подозреваемым, обвиняемым, их законными представителями, а также другими лицами по просьбе или с согласия подозреваемого, обвиняемого к участию в уголовном производстве.

Таким образом, учитывая указанные выше положения статей 42 и 48 УПК Украины, подозреваемый (обвиняемый) имеет право на правовую помощь на любой стадии уголовного производства в любой момент.

Поэтому, целесообразно отметить, что согласно ч. 2 ст. 20 УПК Украины следователь, прокурор, следственный судья, суд обязаны разъяснить подозреваемому, обвиняемому его права и обеспечить право на квалифицированную правовую помощь со стороны выбранного им или назначенного защитника. По нашему мнению, участие защитника в уголовном производстве на основании соглашения о признании вины и о примирении способствовало бы более полному и всестороннему пониманию подозреваемым, обвиняемым формы и содержания такого соглашения, а также последствий его заключения и утверждения.

В целом же можно сказать, что внедрение института уголовных производств на основании соглашения в форме примирения и признания вины как в уголовном судопроизводстве Украины так и уголовном судопроизводстве Грузии значительно упрощает процедуру рассмотрения определенной категории дел, а так же способствует сокращению сроков содержания лиц под стражей, общих процессуальных сроков рассмотрения уголовных дел и экономии бюджетных средств, которые выделяются на осуществление правосудия по уголовным делам, а так же значительно уменьшает нагрузки на систему судебных и правоохранительных органов.

На основании изложенного, можно сделать вывод о том, что институт уголовных производств на основании соглашений в форме примирения и признания вины, несомненно, является одним из способов решения как уголовно-правовых, так и уголовно-процессуальных конфликтов. Суть этого института уголовного процесса, с одной стороны, заключается в смягчении наказания обвиняемого, а с другой - в обеспечении процессуальной экономии и экономии ресурсов уголовного правосудия. В данной статье мы попытались решить указанную выше проблему с помощью применения общего диалектического метода научного познания действительности, который позволил рассмотреть институт уголовных производств на основании соглашений о примирении и о признании вины в их развитии, взаимосвязи и взаимодействии, а так же позволил разрешить и проанализировать эффективность действующих правовых норм, которые касаются заключения данного вида соглашений. В процессе работы так же использовались и отдельные научные методы: исторический, сравнительно - правовой, формально-логический, метод моделирования и прогнозирования. Исторический метод применялся для изучения становления и развития норм об уголовных производствах на основании соглашений о примирении и о признании вины в уголовном процессе. Сравнительно-правовой метод использован для выявления особенностей применения основания для заключения соглашений о примирении и признании вины в различные периоды времени в Украине и Грузии. Формально-логический метод применялся при определении таких понятий, как "соглашение о примирении" и "соглашение о признании вины". Для определения перспектив развития института уголовных производств на основании соглашений о примирении и о признании вины в Украине был использован метод моделирования и прогнозирования.

Литература References:

1. Кримінальний процесуальний кодекс України : Закон України від 13 квіт. 2012 р. // Голос України. — 2012. — № 90—91. — 19 травня.
2. Декларация основных принципов правосудия для жертв преступления и злоупотребления властью // Советская юстиция. - 1992. - № 9 - 10. - С. 39-40.
3. Венская декларация о преступности и правосудии: ответы на вызовы XXI века // Права людини і професійні стандарти для працівників пенітенціарної системи в документах міжнародних організацій. - К.: Сфера, 2002. - 293 с.
4. Комитет министров - государствам-членам относительно упрощения уголовного правосудия: Рекомендация № R (87) 18 принята Комитетом министров 17 сентября 1987 года на 410-м заседании заместителей министров // Российская юстиция. - 1997. - № 8. - С. 2-5.
5. Рекомендація Комітету Міністрів Ради Європи № R (99) 19 "Про посередництво (медіацію) у кримінальних справах" від 15 вересня 1999 року // Відновне правосуддя в Україні: Спецвипуск.- 2005.- С. 53-56.
6. Гуценко К.Ф., Головки Л.В., Филимонов Б.А. Уголовный процесс западных государств / К.Ф. Гуценко, Л.В. Головки, Б.А. Филимонов - Изд. 2-е, доп. и исп. — М.: Издательство „Зерцало“, 2002. — 528 с.
7. Головки Л.В. Альтернативы уголовному преследованию в современном праве / Л.В. Головки - СПб.: Издательство "Юридический центр Пресс", 2002. — 544 с.
8. Аликперов Х. Д. Освобождение от уголовной ответственности в связи с примирением с потерпевшим судочинстві / Х. Д. Аликперов // Законность. - 1999. - № 6. — С. 11-13.
9. Лист Вищого спеціалізованого суду України № 223-1679/0/4-12 «Про деякі питання здійснення кримінального провадження на підставі угод» від 15.11.2012 р. // <http://www.sc.gov.ua/>.
10. Путеводитель по новому Уголовно-процессуальному кодексу Грузии // <http://www.legalaid.ge/>.
11. Закон України «Про безоплатну правову допомогу» від 02.06.2011 року // Відомості Верховної Ради України (ВВР). — 2011. - N 51. - ст.577.
12. Баулін Ю.В. Звільнення від кримінальної відповідальності / Ю.В. Баулін : Монографія. — К.: Атіка, 2004. — 296 с.
13. Грошевой Ю.М. Судебная реформа в Украине: современное состояние и перспективы развития / Ю.М. Грошевой // Судова реформа в Україні: проблеми і перспективи: Матеріали наук.-практ. конф., 18-19 квітня 2002 р., м. Харків / Редкол.: Сташис В.В. (голов. ред.) та ін. - К.; Х.: Юрінком Інтер, 2002. -

С. 9-12.

14. Усатий Г.О. Кримінально-правовий компроміс / Г.О. Усатий - Монографія. - К.: Атіка, 2001.-128 с.

15. Филин Д.В. Прекращение уголовного дела с освобождением обвиняемого от уголовной ответственности / Д.В. Филин // Проблемы законности: Респ. міжвідом. наук. зб. / Відп. ред. В.Я. Тацій. – Харків: Нац. юрид. акад. України, 2002. - Вип. 55. – С. 148-153.

Рецензент: Профессор Сергей Слинко, доктор юридических наук. Кафедра уголовно-правовых дисциплин факультета права и массовых коммуникаций Харьковского национального университета внутренних дел, Украина.

ელენე სოლოვიოვა-პოლუდნიცინა
უკრაინასა და საქართველოს შორის სისხლის სამართლის
სამართალწარმოებაში დადებული ხელშეკრულების შედეგები

რეზიუმე

სტატიაში განხილულია უკრაინის სისხლის სამართლის სამართალწარმოებაში ხელშეკრულებების დადების პრობლემა, და უკრაინისა და საქართველოს სისხლის წარმოებაში მათი დადების პროცესის შედარებითი ანალიზი.

შემოთავაზებულია რიგი ღონისძიებების უკრაინის სისხლის სამართლის სამართალწარმოებაში ხელშეკრულებების დადების პროცედურების სრულყოფისათვის, პრაქტიკაში ხელშეკრულებების დადებასთან დაკავშირებული პრობლემების დადგენისა და გადაწყვეტისათვის, რაც უშუალოდ ეხება სისხლის სამართლის პროცესუალურ საქმიანობას, მიმართულს უკრაინის სისხლის სამართლის სამართალწარმოების ამოცანების შესრულებისათვის პიროვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს დასაცავად სისხლის სამართლის სამართალდარღვევებისაგან, სისხლის სამართლის სამართალწარმოების მონაწილეების უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა, და ასევე სწრაფი, სრული და მიუკერძოებელი გამოძიებისა და სასამართლო განხილვის უზრუნველყოფა.

საკვანძო სიტყვები: უკრაინის სისხლის სამართლის სამართალწარმოება, სისხლის სამართლის წარმოება, სისხლის სამართლის სამართალწარმოების ამოცანები,

შეთანხმება, მხარეთა შერიგება, ბრალდებულის აღიარება, დაზარალებული, ექვემდებარებული, ბრალდებულის, პროკურორი, სასამართლო.

Elena Solovieva-Poludnitsyna
The Consequences of Concluding Agreements in Criminal Justice in Ukraine and of Georgia

Summary

The article reveals problems agreements in criminal proceedings in Ukraine and comparing their findings with the process in criminal proceedings in Georgia. This paper proposes a number of measures to improve procedures for the conclusion of agreements in the criminal trial of Ukraine, identification and resolution of problems relating to the conclusion of transactions in practice that implicitly regards procedural criminal activity, which aims to fulfill the tasks of criminal proceedings Ukraine on the protection of individuals, society and the state of criminal offenses, protection of rights, freedoms and legitimate interests of participants in criminal proceedings, as well as providing a quick, full and impartial investigation and trial.

Keywords: criminal justice in Ukraine, the problem of criminal proceedings, criminal proceedings, arrangement, conciliation, admission of guilt, the suspect, the accused.

Reviewer: Professor Sergey Slinko. Doctor of Law, Professor of Criminal Law, Faculty of Law and Mass Communications of the Kharkov National University of Internal Affairs, Ukraine.

ს ა ზ ო ბ ა დ ო ე ბ ა

მანია ქაპთარაშვილი

ბრენდის დამკვიდრება უცხოურ ბაზარზე - ალაპტაცია, თუ
სტანდარტიზაცია კროსკულტურული კომპაქტინციების
ჯრილში

ცნობილი ფაქტია, რომ სავაჭრო ნიშანის ბრენდად აღიარება ხდება მას შემდეგ, რაც ის საკუთარ ადგილს იმკვიდრებს მომხმარებლის ცნობიერებასა და გულებშიც კი. ამას, რა თქმა უნდა განაპირობებს პროდუქტის (სერვისის) მაღალი ხარისხი და გარკვეული სტილი, გნებავთ - იმიჯი და ცხოვრების წესიც კი, რაც პროდუქტის მოხმარებასთან არის გაიგივებული. ხოლო ამ უხილავი, მაგრამ ძვირად ღირებული დანამატის მომხმარებლის გონებაში დანერგვა ხდება სკრუპულოზურად და მიზნობრივად შემუშავებული თანმიმდევრული საკომუნიკაციო სტრატეგიის მეშვეობით.

ბუნებრივია, რომ ბრენდის უცხო ბაზარზე გაყვანა იმთავითვე უნდა ითვალისწინებდეს ამ ორივე კომპონენტს (ხარისხი & იმიჯი) და იამავედროულად ასერხებდეს უმტკივნეულო და მობილურ კორექტირებას ადგილობრივი მომხმარებლის წარმოდგენების შესაბამისად - სტილსა და ცხოვრების წესებთან მიმართებაში. უცხო ყველგან და მით უმეტეს, ყოველთვის, როდია საუკეთესოს სინონიმი.

- ნებისმიერი ბრენდის პოზიციონირების დასაწყისშივე კომპანიამ უნდა გაითვალისწინოს კულტურული კონტექსტი. ცნობილია, რომ ერთიდა იგივე კულტურის წარმომადგენლები იზიარებენ ცოდნის ერთგვარ მოდულს - კონტექსტს, რომელიც შესაძლოა არ დაემთხვეს თქვენი ქვეყნის კულტურულ კონტექსტს. საინტერესოა, რომ კონტექსტი თავს იჩენს სარეკლამო გზავნილის ყველა დონეზე - დაწყებული პროდუქტის გაფორმება-შეფუთვიდან - ვიდუროგოლის სიუჟეტის ჩათვლით.

სტატიაში ასევე მიმოვიხილავთ საერთაშორისო ბაზარზე გასვლისათვის კომპანიის წინაშე წამოჭრილ დილემას - მარკეტინგის რომელ კომპლექს დაეყრდნობა ბრენდის პოზიციონირებისას:

1. სტანდარტიზირებულს (ყველა საერთაშორისო ბაზარზე ერთიან სტრატეგიას)

2. ადაპტირებულს (უნიკალურ სტრატეგიას თითოეულ უცხოურ ბაზარზე)

ინტეგრირებულს (სტრატეგიას, რომელიც აერთიანებს პირველი ორი სტრატეგიის ელემენტებს)

განვიხილავთ იმ არჩევანის მეცნიერულ საფუძვლებს, რომელიც თითოეულმა კომპანიამ უნდა გააკეთოს - ჰომოგენური სტანდარტიზაცია, თუ ჰეტეროგენური ადაპტაცია. დღეს ეს პოზიცია ერთგვარი დაძლევის და გააზრების ეტაპზე გადადის. და ზუსტად აქ გვესაჭიროება მეცნიერული, დასაბუთებული კვლევები და ანალიზი და არა ინტუიციასა და კერძო მოსაზრებებზე დაფუძნებული სტრატეგიები.

სტატია არის მცდელობა მიმოვიხილოთ უცხოური ბაზრისა და მეგაბრენდების მიერ გავლილი და გადალახული გამოცდილება და დავსახოთ ქართული სამომხმარებლო ბაზრის განვითარების პერსპექტივები - ბრენდის დამკვიდრების, მისი უცხოურ ბაზარზე ადაპტაცია სტანდარტიზაციის საკითხები კროსკულტურული კონცეფციის ჭრილში.

საკვანძო სიტყვები: ბრენდი, იმიჯი, ადაპტაცია და სტანდარტიზაცია, კროსკულტურული კომპეტენცია, ბრენდის იდენტობა, ფუნქციონალური და ემოციონალური სარგებელი, სტრატეგიული მიმართულებები, მესიჯი, ტაქტიკური ნაბიჯები, პირდაპირი კომუნიკაცია.

უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში სამყარომ ერთგვარი შემჭიდროვების პროცესშია, რაც „გლობალური სოფლის“ წინაპირობად შეიძლება ჩავთვალოთ. სხვა დანარჩენი კომპონენტების განხილვას ამ სტატიაში არ ვაპირებთ - შეეჩერდებით მხოლოდ სავაჭრო ნიშნებისა და ზოგადად სამომხმარებლო საქონლის სახეცვლილებების პროცესებზე. აშკარაა, რომ დღევანდელი სამომხმარებლო საქონელი თითქმის აღარ განსხვავდება ქართულ ბაზარსა და, გნებავთ ჩინეთისა თუ ევროპის ბაზარზე არსებული პროდუქციისაგან. მეტიც, დაიბადა რამოდენიმე ისეთი მეგა-ბრენდი, რომელიც სახეუცვლელი მოგზაურობს მთელს მსოფლიოში და ისეთივე აქტუალური, მისაღები და ცნობადია ჩვენთანაც, როგორც საკუთარ სამშობლოში.

Coca-Cola, McDonalds, Nike, Sony, Disney - ისინი უცვლელად იმკვიდრებენ თავს ნებისმიერ ბაზარზე და საჭიროებისამებრ ცვლიან ბაზარს, საკუთარი მოთხოვნილებების შესაბამისად.

ხოლო, ნაკლებად ცნობილი ბრენდები იძულებული არიან დაიკავონ მეტნაკლებად მოქნილი პოზიცია, რამეთუ მათი წარმატება უცხო ბაზარზე დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ზუსტად პასუხობენ მომხმარებლის მოთხოვნათა ნუსხას, მოლოდინებსა და სურვილებს.

ცნობილი ფაქტია, რომ სავაჭრო ნიშანის ბრენდად აღიარება ხდება მას შემდეგ, რაც ის საკუთარ ადგილს იმკვიდრებს მომხმარებლის ცნობიერებასა და გულებშიც კი. ამას, რა თქმა უნდა განაპირობებს პროდუქტის (სერვისის) მაღალი ხარისხი და გარკვეული სტილი, გნებავთ - იმიჯი და ცხოვრების წესიც კი, რაც პროდუქტის მოხმარებასთან ხდება გაიგივებული. ხოლო ამ უხილავი, მაგრამ ძვირად ღირებული დანამატის მომხმარებლის გონებაში დანერგვა ხდება სკრუპულოზურად და მიზნობრივად შემუშავებული თანმიმდევრული საკომუნიკაციო სტრატეგიის მეშვეობით.

ბუნებრივია, რომ ბრენდის უცხო ბაზარზე გაყვანა იმთავითვე უნდა ითვალისწინებდეს ამ ორივე კომპონენტს (ხარისხი & იმიჯი) და იამავეროულად ასერხებდეს უმტკივნეულო და მობილურ კორექტირებას ადგილობრივი მომხმარებლის წარმოდგენების შესაბამისად - სტილსა და ცხოვრების წესებთან მიმართებაში. უცხო ყველგან და მით უმეტეს, ყოველთვის, როდია საუკეთესოს სინონიმი.

რიგ შემთხვევაში ბრენდის სრული რებრენდიციც კი ხდება სავადლებულო, რომ ბაზარზე დამკვიდრება მოხდეს. ისეთი მეგა-ბრენდიც კი, როგორცაა კოკა-კოლა, ჩინურ ბაზარზე საკუთარი ორიგინალური სახელის შენარჩუნების მცდელობამ დაცივნის ობიექტად აქცია - რადგან ჩინურიდან თაგმანი ნიშნავს “უბინე თაგომბალას“. არანაკლებ სავალალო სიტუაცია შეიქმნა Chevrolet Nova-ს ავტომობილების ესპანურ ბაზარზე შეტანის დროს. General Motors საქმე სასაცილოდ სულაც არ ქონდა, რადგან "no va" ნიშნავს „არ მოძრაობს“ - შესაბამისად, ავტომობილები არ გაიყიდა. მსგავსი სიტუაცია შეექმნა PAGERO-ს - ერთ ერთ ენაზე ის ითარგმნა, როგორც „აშკარა გეი“. მაგალითების მოყვანა კიდევ შეიძლება, მაგრამ ვფიქრობთ, საკმარისია იმისათვის, რომ დაფიქრდეთ რაოდენ დასაფიქრებელია ბრენდის უცხოურ ბაზარზე შესვლის პროცესი. მით უფრო, ეს მხოლოდ აისბერგის მწვერვალია.

ნებისმიერი ბრენდის პოზიციონირების დასაწყისშივე კომპანიამ უნდა გაითვალისწინოს კულტურული კონტექსტი. ცნობილია, რომ ერთი და იგივე კულტურის წარმომადგენლები

იზიარებენ ცოდნის ერთგვარ მოდულს - კონტექსტს, რომელიც შესაძლოა არ დაემთხვეს თქვენი ქვეყნის კულტურულ კონტექსტს. საინტერესოა, რომ კონტექსტი თავს იჩენს სარეკლამო გზაწილის ყველა დონეზე - დაწყებული პროდუქტის გაფორმება-შეფუთვიდან - ვიდეორგოლის სიუჟეტის ჩათვლით. მაგალითად, ევროპელი მომხმარებელი დიდი ხნის წინ ადაპტირდა ეკოლოგიურად სუფთა და გენმოდირების გარეშე კომპონენტის პროდუქციის მოხმარებასთან. ამიტომ, ევროპაში სავალდებულოა მიუთითო შეიცავს თუ არა საკვები ამ კომპონენტს და ეს დაგეხმარებათ პროდუქტის გაყიდვაში. ქართული ბაზარი ნელ ნელა ეჩვევა მსგავს მარკირებას - მინიშნებას და დიდად ეს ჯერ ვერ ახდენს ბრენდზე ზემოქმედებას. ხოლო აფრიკის მოსახლეობისათვის, სავარაუდოა, რომ გენმოდირებული პროდუქტის შემცველობა ვერანაირ გავლენას ვერ მოახდენს მის არჩევანზე. არ უნდა გამოგვრჩეს ისეთი მანვენებელიც, რომელიც ჰოლანდიელმა მეცნიერმა ჰოფსტედემ შემოიღო სხვადასხვა კულტურების კვლევის დროს - ინდივიდუალიზმის დონის მანვენებელი, რომელიც პირდაპირ პროპორციულია საერთო კონტექსტის მანვენებელთან (Hofstede, Geert 1980)

ავსტრალია	90
დიდი ბრიტანეთი	89
საფრანგეთი	71
არაბეთის სამყარო	38
რუსეთი (ა. ნაუმოვის მიხედვით)	41

(საქართველოს მანვენებელი აქაც შესაქმნელია - გამოსაკვლევი, თუმცა სავარაუდოდ რუსეთისა და საფრანგეთის მონაცემებს შორის უნდა მერყეობდეს).

შესაბამისად, უცხოურ ბაზარზე გასვლა გულისხმობს გარკვეული მარკეტინგული ბრენდ სტრატეგიის შემუშავებას, რაც თავის მხრივ, მოიაზრებს როგორც წმინდა საერთაშორისო ასპექტების გათვალისწინებას, ისე ტრადიციული ელემენტების, რომლებიც კომპანიის საბაზრო სტრატეგიას განსაზღვრავს და გადაიტანება საერთაშორისო ბაზარზეც. კვლავ დავტოვოთ მარკეტინგული პოზიციონირების თავისებურებანი და დავუბრუნდეთ საბაზრო პოზიციონირების საკითხებს კროსკულტურული კონტექსტის გათვალისწინებით.

სოციო-კულტურულ სფეროში არსებული განსხვავებების შესაბამისად, მომხმარებლის მოტივაციის სფეროში არსებული

სხვაობების გათვალისწინებით გამოყოფენ საერთაშორისო პოზიციონირების სამ ძირითად ტიპს:

1. კულტურატაშორისი პოზიციონირება
2. რეპოზიციონირება
3. თითოეულ ბაზარზე უნიკალური პოზიციონირება

გასაგებია, რომ კულტურატაშორისი პოზიციონირება გამოიყენება მაშინ, როდესაც მომხმარებელთა ქცევის მოდულში არ ჩანს მკაფიო განსხვავება. ასევე, ბაზრის ფუნქციონირების სპეციფიკაც არ იძლევა დიდ სხვაობას. ამ შემთხვევაში ხდება სტრატეგიისა და ტაქტიკის სრული თანხვედრა ერთნაირ ბაზარსა და საერთაშორისო ბაზარზე.

რეპოზიციონირების იდეა (რაც სავაჭრო მარკის ნაწილობრივ ადაპტაციას გულისხმობს) ეფუძნება შემდეგ ვერსიას - მთლიანობაში ქვეყნების მარკეტინგული გარემო ემთხვევა, მაგრამ არსებობს უმნიშვნელო სხვაობა მომხმარებლის აღქმის კუთხით. ამ შემთხვევაში სტრატეგია რჩება უცვლელი, მაგრამ იცვლება სტრატეგიის რეალიზების შემოქმედებითი კონცეფცია, ან სარეკლამო პროდუქტის დუბლირებისას - პროდუქტის სახელწოდება. როგორც წესი, კომპანიების უმრავლესობა ასეთ სტრატეგიას მიმართავს.

ხოლო იმ შემთხვევაში, როცა ერთნაირი ბაზრის კონცეფცია მიუღებელია საერთაშორისო ბაზარზე, ხდება უნიკალური პოზიციონირების სტრატეგიის შემუშავება (მარკის სრული ადაპტაცია). რაც, ბუნებრივია, მარკის სრული პოზიციონირების ეტაპების გავლას გულისხმობს. დაწყებული ბაზრის სრული ანალიზით და დამთავრებული ახალი სტრატეგიითა და ტაქტიკით.

• საერთაშორისო ბაზარზე გასვლა კომპანიას აყენებს შემდეგი არჩევანის პირისპირ - მარკეტინგის რომელ კომპლექს დაეყრდნობა ბრენდის პოზიციონირებისას:

1. სტანდარტიზირებულს (ყველა საერთაშორისო ბაზარზე ერთიან სტრატეგიას)
2. ადაპტირებულს (უნიკალურ სტრატეგიას თითოეულ უცხოურ ბაზარზე)
3. ინტეგრირებულს (სტრატეგიას, რომელიც აერთიანებს პირველი ორი სტრატეგიის ელემენტებს).

როგორც წესი, კომპანიები მიმართავენ მესამე ტიპის სტრატეგიას.

აქვე გასარკვევია მარკეტინგული გლობალიზაციის ისეთი კომპონენტების გავლენაც, როგორცაა „კომოგენური“ და

„ჰეტეროგენური“ მიმართულებები. ჰომოგენიზაციის თეორეტიკოსები ეძიებენ და პოულობენ მსოფლიო ბაზრის განვითარებაში ვესტერნიზაციის, იმპერიალიზმის, დამოკიდებულებისა და სინქრონიზაციის დამადასტურებელ საბუთებს. შესაბამისად, მათი ოპონენტები, უფრო ამჩნევენ ჰიბრიდიზაციასა და კრეოლიზაციას. ამ გადასახედიდან ადანაშაულებენ ანტიგლობალისტები იმპერიალიზმის გამოხატულებაში ისეთ ბრენდებს, როგორცაა „მაკდონალდსი“ და „კოკა-კოლა“. ამ თვალსაზრისის თანახმად, რეკლამა მჭიდროდაა დაკავშირებული კონსიუმერიზმთან ამერიკულ სტილში და შესაბამისად, წარმოადგენს კორპორატიული კაპიტალიზმის მისიონერულ მისიას.

სანამ დასავლეთის თეორეტიკოსები ბჭობდნენ მსგავს მიმართულებების სისწორესა და სიცოცხლისუნარიანობაზე, დაიწყო ისეთი პროცესი, რომელმაც უშუალოდ ქართულ სამომხმარებლო ბაზარზე გაიარა - კომუნიზმის კოლაფსი. ჩვენ ერთბაშად აღმოვჩნდით ევროპული და არა მხოლოდ, რეკლამისა და ბრენდების ომის გავლენის ქვეშ. ქართველი მომხმარებელი, ისევე, როგორც პოსტსაბჭოური სივრცის სხვა მოსახლეობა, დებულობს ახალ სამომხმარებლო იდენტობას, რომელიც აღმოჩნდა ეროვნული და ეკონომიური საზღვრების მიღმა და მაშასადამე ეწინააღმდეგება მანამდე არსებულ ყველა იდენტობას, რაც ჩაკეტილ იდეოლოგიას ეფუძნებოდა. და რაც უფრო რთულია - საქართველო ამოვარდა ერთიანი, ცენტრალიზირებული საერთაშორისო პოზიციებიდან და პირისპირ აღმოჩნდა ახალ, გლობალურ და ინდივიდუალურად გადასაფასებელ - ასათვისებელ ბაზრის პირისპირ. გამოცდილების, შესაძლებლობების და თითქმის ეკონომიკის გარეშეც.

დღეს ეს პოზიცია ერთგვარი დაძლევის და გააზრების ეტაპზე გადადის. და ზუსტად აქ გვესაჭიროება მეცნიერული, დასაბუთებული კვლევები და ანალიზი და არა ინტუიციასა და კერძო მოსაზრებებზე დაფუძნებული სტრატეგიები.

დავუბრუნდეთ იმ არჩევანს, რომელიც თითოეულმა კომპანიამ უნდა გააკეთოს - ჰომოგენური სტანდარტიზაცია, თუ ჰეტეროგენური ადაპტაცია?

გადაწყვეტილების მიღების ალგორითმი შემდგენიარად შეიძლება გამოიყურებოდეს - მიზანშეწონილია დავსტარტოთ სტანდარტიზაციით, და შემდეგ, ბაზრის მოთხოვნებიდან გამომდინარე და კომპანიის შესაძლებლობების

გათვალისწინებით, ავამაღლოთ ადაპტაციის ხარისხი. მსოფლიო პრაქტიკაში ადაპტაციის გაშუალედურებული კოეფიციენტი შეადგენს 60-80%.

• და კვლავ მივადგებით სოციო-კულტურული განსხვავებების თემას - სტანდარტიზაციის გზაზე ყველაზე დიდი დაპრობება იქმნება, ზუსტად ეგრეთ წოდებული „საბაზრო სიურპრიზებით“, რომელთაც ეროვნული და კულტურული თავისებურებანი წარმოშობენ. სრულად თავის დაცვა მომხმარებლის მოულოდნელი რეაქციისაგან შეუძლებელია, მაგრამ მისი მინიმუმამდე დაყვანა - შესაძლებელია. აი ამისათვის არის აუცილებელი კროსკულტურული კომპეტენცია.

არსებული ტექნოლოგიები ითვალისწინებენ პროდუქტის ადაპტაციის 5 ძირითად სტრატეგიას:

1. მარტივი გაფართოება
2. პროდუქტის ადაპტაცია
3. კომუნიკაციების ადაპტაცია
4. ორმაგი ადაპტაცია
5. ახალი პროდუქტის შექმნა

მარკეტინგ-მიქსის კომპლექსის შექმნისას იბადება კითხვა, თუ რომელი ელემენტების და რა დონეზე უნდა მოხდეს ადაპტირება. ექსპერტების აზრით, მიზანშეწონილია გამოვიყენოთ, ეგრეთ წოდებული მოდულური მიდგომა. ანუ, როდესაც ერთი პარამეტრები შესაძლოა ჩავთვალოთ სტანდარტულებად (მაგ. საქონელი, ბრენდი, შეფუთვა), ხოლო სხვა პარამეტრები ცვლადია (ფასი, გაყიდვების სტიმულირების მეთოდები, რეკლამის კონცეფცია).

სტანდარტიზაციასა და ადაპტაციას შორის კომპრომისის მაგალითისათვის ავიღოთ იაპონიაში ორი უმსხვილესი ბრენდის კონკურენცია - საპარსი ბრიტების მწარმოებელი კომპანიები - Gillette (აშშ) და Schick (ჰოლანდია). ამერიკელებმა, გამოიყენეს რა სტანდარტიზაციის მიდგომა, იაპონური ბაზრის მხოლოდ 10% დაიკავეს, მაშინ როდესაც ჰოლანდიელებმა აქცენტი ადაპტაციაზე გააკეთეს - შეუცვალეს ბრენდს სახელწოდება FX - რომ უფრო ადვილად საკითხვადი გამხდარიყო, მეტიც - ეს ლოგო შეფუთვას იაპონურად დააწერეს, სარეკლამო რგოლში იაპონელი მსახიობი დააკავეს, აგრეთვე გაყიდვები იაპონური სადისტრიბუციო კომპანია Seiko - ს სისტემას მიანდეს, რომელიც 150 ათას საცალო ფირმას მოიცავდა. ამ დროს Gillette-მა საკუთარი სავაჭრო აგენტების

ქსელი შექმნა. ზუსტად ამ განსხვავებულმა მიდგომებმა დააკავებინა კომპანია Schick -ს იაპონური ბაზრის 62%.

განსაკუთრებულად მკვეთრად კომპანიის კროსკულტურული კომპეტენცია მარკეტინგულ კომუნიკაციებში ვლინდება. შესაბამისად, აუცილებელია მკაფიო წარმოდგენა ვიქონიოთ კულტურის ყველა ძირითად ელემენტზე:

- ფასეულობებზე
- ვერბალურ & არავერბალურ კომუნიკაციებზე
- ადათზე
- ჩვევებზე
- რელიგიაზე და ასევე
- სახელმწიფო რეგულირების სისტემებზე ამ სფეროში

ხშირად, როგორც ზემოთ მოყვანილ მაგალითებში, შეცდომების გამომწვევია ენის თავისებურებების იგნორირება, რაც სავალდებულოს ხდის ბრენდის სახელწოდების შინაარსისა და ქდერადობის უცხო ენაზე გადამოწმებას - უნდა გავეცნოთ ენის ყველა ნიუანს - სლენგი, იდიომები, თარგმანი და რაც მთავარია - უკუთარგმანი. რადგან ენა კულტურის გასაღებია, უმჯობესია უცხო ბაზარზე ადგილობრივი ენის მატარებელი სპეციალისტი დავასაქმოთ და აუცილებლობის შემთხვევაში მოვახდინოთ დასახელების მოდიფიცირება.

ასეთივე დატვირთვა აქვს არავერბალური კომუნიკაციების ცოდნა-გათვალისწინებასაც - ქესტები, ფერთა სისტემა, ციფრები და სიმბოლოები, ასევე სივრცე-მანძილისა და დროის კატეგორიები. ცნობილია ქესტების ასინქრონიზაციამ როგორი შეცდომები შეიძლება გამოიწვიოს, პოლიტიკური სკანდალის ჩათვლით (ჯორჯ ბუშის ცნობილი მისაღმება ერთერთ არაბულ ქვეყანაში, რაც ომის გამოცხადების სიგნალად აღიქვა მოსახლეობამ).

არანაკლებ მნიშვნელოვანია კროსკულტურული კომპეტენცია შეფუთვების შემუშავების თვალსაზრისითაც. ამ შემთხვევაში ანგარიშგასაწევია მარკირების წესები, ეკოლოგიური მოთხოვნები, შეფუთვის მეორადი გამოყენების შესაძლებლობა, შეფუთვის ზომა და ფერები.

აქ მაგალითად გამოგვადგება კომპანია Lego's ისტორია. როგორც ცნობილია, ამერიკელებს უყვართ შეფუთვის მეორეჯერ (მრავალჯერადად) გამოყენება. ამის შესახებ, რა თქმა უნდა იცოდა Lego's მთავარმა კონკურენტმა ამერიკულ ბაზარზე, ამერიკულმა კომპანია Tyco-მ, რომელმაც საბავშვო კონსტრუქტორის დეტალების შეფუთვა დაიწყო პლასტიკურ

ჭურჭელში, რომლის შემდგომი გამოყენება შესაძლებელი იყო ოჯახში, სამეურნეო დანიშნულებითაც. ამერიკელმა მშობლებმა უმაღლ მოახდინეს რეაგირება ასეთ ფუნქციონალურ შემოთავაზებაზე. ამიტომ, გაყიდვების ვარდნის ასაცილებლად Lego's მენეჯმენტმა მიმართა დანიის შტაბ-ბინას შეფუთვის შესაცვლელად. ამის შემდეგ მალევე კომპანია ასევე გადავიდა პლასტიკის სათლებზე ამერიკაში, ხოლო შემდეგ ეტაპზე ეს მიდგომა გახდა კომპანიის გლობალური სტრატეგიის საფუძველი.

არ უნდა გამოგვრჩეს ასევე შეფუთვის ზომებიც, რაც ამა თუ იმ ქვეყანაში არსებული სტანდარტების შესაბამისი უნდა იყოს და არ ეწინააღმდეგებოდეს მომხმარებლის ჩვევას. მაგალითად, ცნობილია, რომ დიდ შეფუთვის უპირატესობას ანიჭებენ აშშ-ში, კანადაში, სამხრეთ კორეაში, სადაც საყიდლებზე კვირაში ერთხელ გადიან და მერე დიდი ტევადობის მაცივრებში ინახავენ პროდუქტს. ამიტომ, კოკა-კოლას 2 ლიტრიანი ბოთლების გაყიდვა ჩავარდა ესპანეთში, სადაც მოსახლეობას უბრალოდ არ აღმოაჩნდა ამ სიდიდის ბოთლების შესაბამისი მაცივარი.

რეკლამისა და ზოგადად პოზიციონირების სტრატეგიის შერჩევისას სავალდებულოა ვიცოდეთ მასობრივი ინფორმაციის რა საშუალებები არის დომინანტი ამათუ იმ ქვეყანაში. მაგალითად, ბრაზილიაში, მექსიკაში, ავსტრალიაში, ესპანეთსა და საბერძნეთში, ასევე საქართველოშიც ყველაზე ეფექტურად მოქმედებს სატელევიზიო რეკლამა. ხოლო შვეიცარიაში, ბელგიაში, შვედეთში, კანადასა და გერმანიაში რეკლამის განთავსება უპრიანია ბეჭდურ გამოცემებში, რომლებიც დიდი წარმატებით სარგებლობენ.

უდავოა, რომ დიდ გავლენას ამათუ იმ ქვეყნის კულტურაზე ახდენს რელიგია. ცნობილია სხვადასხვა რელიგიის აკრძალვები სხვადასხვა პროდუქტზე - ალკოჰოლზე, თამბაქოსა თუ ღორის ხორცზე, ასევე ტანცამლის შეზღუდვებზე, და სხვა. ამის იგნორირება ბრენდის დაღუპვის ტოლფასია.

თანამედროვე კროსკულტურული კვლევების უმრავლესობა ემყარება ზემოთ მოყვანილი პოლანდიელი მეცნიერის პობსტედეს კლასიკურ თეორიას. მისი მეთოდიკის თანახმად, გამოყოფენ კულტურის 5 პარამეტრს, რაც მის ძირითად ფასეულობებს განსაზღვრავს:

- კონტექსტუალური (საბაზისო პარამეტრი)

- ინდივიდუალიზმი & კოლექტივიზმი
- ქალურობისა და მამრობითობის შეფარდება
- ძალაუფლების დისტანცია
- გაურკვეველობის აცილების ხარისხი

კონტექსტი მიეკუთვნება კომუნიკაციების ფორმალიზების დონეს. მაღალი კონტექსტის მესიჯი გულისხმობს, რომ ინფორმაციის უმეტესი ნაწილი უკვე ჩადებულია ადამიანში, ხოლო უმცირესი ნაწილი გადაიცემა კოდირებული ფორმით. აქ მნიშვნელოვანია ფორმა, ემოციონალურობა, ამიტომ რეკლამა შესაძლოა შეიცავდეს მინიშნებას, ორაზროვნულ შინაარსს. ხოლო დაბალი კონტექსტის მესიჯი, პირიქით, უნდა იყოს ნათელი, მკაფიო - ძირითადი ყურადღება ეთმობა შინაარსს, რომელიც არ არის დამოკიდებული სიტუაციასა და ტრადიციებზე.

დანარჩენი 4 პარამეტრი ბაზისურის ერთგვარი განვრცობაა და ეწოდებათ კულტურის მარეზულტატირებელი კრიტერიები. აქვე გავიხსენოთ, რომ კომუნიკაციის დაბალკონტექსტუალური სტილი ახასიათებს მაღალი ინდივიდუალიზმის კულტურებს, ხოლო მაღალი კონტექსტუალური სტილი - მაღალი კოლექტივიზმის მატარებელ ქვეყნებს. აქ უპირანია რეკლამამ გამოიყენოს ცნობადი და ცნობილი სახეები, რადგან აუდიტორია საკუთარი თავის ასოცირებას ახდენს მათთან. ვფიქრობთ, ეს ზუსტად ქართული საზოგადოების მიდგომასაც შეესაბამება. ხოლო ინდივიდუალისტურ კულტურებში ხდება პირდაპირი მიმართვა, „შენ“, „თქვენ“ გამოყენებით. ინდივიდუალიზმი კულტურაში ვლინდება მთავარი ფასეულობით - პირადი წარმატება, პიროვნული სარგებელი და სხვა რიგი ასპექტები.

ვთქვით, ქართული საზოგადოებისათვის ავტომობილის რეკლამა უნდა შეიცავდეს ოჯახის სურათს - დედა, მამა, შვილები, ბებია და ბაბუაც არ იქნება ზედმეტი. მაგრამ იგივე ავტომობილის რეკლამა გერმანიაში - მხოლოდ ცოლქმრის ჩვენებითაც მიახწევს მიზანს.

მამაკაცისა და ქალის როლების დაყოფა სხვადასხვა კულტურაში სხვადასხვაა. ეს იწვევს ქალური და მამაკაცური ფასეულობების გამოყენების სხვადასხვა კონტექსტს სხვადასხვა ბაზრის ათვისების დროს. მასკულიზური კულტურები უპირატესობას ანიჭებენ დომინირების ფორმებს - ყველაფერი დიდი, ჰიპერბოლიზირებული - ოცნებებიც და იმედებიც. აქ შედარებით რეკლამას ვიყენებთ. „ქალურ“ კულტურებში ასეთი

ეგოიზმი და „პაკაზუსა“ მიუღებელია და უგემონებობის მანქანებლად აღიქმევა. აქ მოკრძალება, თავშეკავება უფრო მისასაღმებელი ხდება. აქ თავს იჩენს ასევე ქალისა და კაცის როლი ოჯახში. რაც მისადებია, ვთქვათ საქართველოში, მიიღებელია ჰოლანდიაში. ასევე, ესპანეთსა და საფრანგეთში ნორმალურია რეკლამაში მოფუსფუსე მამაკაცი, რასაც საქართველოს მაყურებელი ნამდვილად გროტესკულად მიიღებს.

კულტურის კიდევ ერთი პარამეტრი - ძალაუფლების დისტანცია. სტატუსის სიმბოლოები ხშირად გამოიყენება მაღალი დისტანციის კულტურებში (LPD). ასეთ კულტურებში, როგორც წესი უფროსები უმცროსებს აძლევენ რჩევებს, ხოლო დაბალი ძალაუფლების დისტანციის (SPD) ქვეყნებში - ახალგაზრდები უფროსებს აკვლიანებენ. აქედან დასკვნა, რომელ კულტურას მიეკუთვნება ქართული საზოგადოება. ამ უკანასკნელი ვერსიისათვის დამახასიათებელი რეკლამის მაგალითია ჰოლანდიაში KitKat-ის რეკლამა, სადაც მოქმედი პერსონაჟები არიან მოწაფეები. ისინი დასცინიან და აწვადებენ მასწავლებელს. ასეთი რეკლამა მიუღებელია ჩვენთვისაც და ვთქვათ გერმანიისთვისაც, სადაც დისტანცია და წესრიგი ნორმაა.

და ბოლოს, გაურკვევლობის აცილების ხარისხი - რეკლამა იმ ქვეყნებშიმ სადაც კულტურა ამ პარამეტრის მარალი ხარისხის მატარებელია, გამოირჩევა ვრცელი ტექსტებით, განმარტებებითა და ექსპერტების რეკომენდაციებით, ტექნოლოგიებისადმი და დიზაინისადმი დიდი ყურადღებით. იტალიური და გერმანული რეკლამებისათვის დამახასიათებელია პროფესორების და ექიმების თეთრ ხალათში დაფიქსირება. გუასოსვს, ალბათ, როგორი ნეგატიური შეფასება მოყვა ერთერთ წინასაარჩევნო კლიპს ქართულ საზოგადოებაში, როცა მემარჯვენეების ერთერთი ლიდერი დავით გამყრელიძე თეთრ ხალათში დადიოდა და „ ბიზნესმენი-ექიმის“ როლს ირგებდა.

ბელგია, ესპანეთი, საფრანგეთი ხშირად იშველიებს ექსპერტებს, პროფესიონალებს. განსაკუთრებული სტრუქტურულიზაცია და დეტალიზაცია ახასიათებს გერმანულ ბაზარს, სადაც პროდუქტის მოხმარების ყველა ტექნიკური დეტალი გამოიყენება. აქვე ავლნიშნოთ ამ ქვეყნებისათვის დამახასიათებელი ემოციების დემონსტრირება, მაგალითად, იტალიისათვის.

რაც შეეხება გაურკვეველობის აცილების დაბალი დონის მატარებელ კულტურებს - აქ მთავარია შედეგი. აქ სტაბილურობა არ არის გადამწყვეტი ფაქტორი და არც შიშებია ახლისა და გაურკვეველობის მისამართით.

კროსკულტურული კომპეტენციის ერთერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია სხვადასხვა სახელმწიფოში არსებული შეზღუდვა-აკრძალვების სისტემის ცოდნა. მაგალითად, შედარებითი რეკლამა აკრძალულია გერმანიაში, საფრანგეთში, ბელგიასა და იტალიაში, ასევე ფინეთში და ფილიპინებზე. უცხოური რეკლამა აკრძალულია დიდ ბრიტანეთში, კანადაში, ავსტრალიაში, ვენესუელაში, მაღაიზიასა და პერუში. სატელევიზიო რეკლამა იკრძალება შვედეთში და ნორვეგიაში. დიდი შეზღუდვა აქვს ტელე-რეკლამას ასევე დანიასა და გერმანიაში (არაუმეტეს 20 წუთისა დღეში). საფრანგეთში ნებისმიერი რეკლამა ითხოვს მხოლოდ ფრანგული ტერმინოლოგიის გამოყენებას, გერმანია კრძალავს ცნობილი ადამიანების რეკლამაში ჩართვას. რიგ ქვეყნებში იკრძალება ალკოჰოლის, თამბაქოს, წამლების რეკლამირება. ბავშვებს არ აჩვენებენ უფროსების გარეშე გერმანულ, ფინურ, ავსტრიულ რეკლამებში. ამან განაპირობა ზუსტად სასამართლო საჩივარი ჰელსინკიში McDonald's-ის წინააღმდეგ, როცა ამ უკანასკნელმა სარეკლამო რგოლში მარტოხელა პატარა უჩვენა.

ასევე ყურადსადებია საეთერო დროის ხელმისაწვდომობა - შვეიცარიაში, პოლანდიაში, საფრანგეთში, იტალიაში, ფინეთში რეკლამას საეთერო სივრცის მხოლოდ 10-15% ეთმობა, სხვაგან ეს ციფრი 30%-მდე აღის.

რა თქმა უნდა, რეგულაციების ჩამონათვალი ამით არ შემოიფარგლება და რაც უფრო დაზუსტებული ინფორმაცია გავგაჩნია უცხოური ბაზრის ყველა აკრძალვა-შეზღუდვაზე, მით უფრო ადვილია ბრენდის ამ ბაზარზე დამკვიდრება.

დასასრულ, უნდა ავღნიშნოთ, რომ კროსკულტურული კომპეტენციების არსებობა ნებისმიერი კომპანიის წარმატების შემადგენელი ფაქტორია არა მხოლოდ ეროვნული ბაზრის ფარგლებს მიღმა გასვლის დროს, არამედ მრავალნაციონალური სახელმწიფოს ფარგლებში განსახორციელებელი ექსპანსის დროსაც.

იმისათვის, რომ სწორად დავევრდნოთ ამ ფაქტორს, აუცილებელია მიზნობრივი კვლევების ჩატარება, სპეციალისტებზე ორიენტირება და თადარიგის დაკავება, სანამ ბრენდი გავა უცხო ბაზრის დასაღაშქრად.

• მიმოვიხილოთ სტანდარტიზაციის და ადაპტაციის თავისებურებანი ჩამოვთვალოთ თუ რა მიზნებს ისახავს რეკლამის სტანდარტიზაცია:

1. საქონლის საერთაშორისო იმიჯის შექმნა
2. რეკლამის შემუშავება/შექმნაზე ხარჯების შემცირება
3. სხვადასხვა ქვეყნების ბაზარზე სინქრონული გასვლის დაჩქარება

4. მესიჯის არვეის თავიდან აცილება, მედიის მიერ, ან მყიდველის ერთი ქვეყნიდან მეორეში გადაადგილების დროს რეკლამის ადაპტაცია გამოწვეულია:

- საკანონმდებლო ნორმატივებით
- საერთაშორისო მარკეტინგის მაკროგარემოს

თავისებურებანი

- ეროვნულ-კულტურული ფაქტორები

როგორც ვიცით, კულტურული ადაპტაცია ეფუძნება პროდუქტზე წარმოდგენის შექმნის სამ კომპონენტს:

1. უტილიტარული (ტექნიკური თვისებები და მახასიათებლები)
2. ხატოვანი, წარმოსახვითი (მითიური, შეგრძნებითი ფასეულობა)
3. სიმბოლური (სოციალური ფასეულობა, ასოციაციები, სტერეოტიპები)

როგორც სპეციალისტები თანხმდებიან, რეკლამის ოპტიმალურ ვარიანტად შეიძლება ჩაითვალოს ნაწილობრივ სტანდარტიზირებული რეკლამა, რომელიც ინარჩუნებს სარეკლამო კამპანიის ერთიან სტრატეგიასა და სულისკვეთებას, მაგრამ გააჩნია შესაძლებლობა მიუახლოვდეს ადგილობრივ პირობებს, რათა უფრო ეფექტურად იმოქმედოს მიზნობრივ აუდიტორიაზე.

ბრენდის უცხოურ ბაზარზე დამკვიდრების არსებული საფრთხეებისა და რისკების ასაცილებლად, აუცილებელია სტრატეგიული კამპანიის შემუშავება და შეჯერება მისი კომპონენტების კონკრეტულ ქვეყანასა და ბაზარზე მორგების კუთხით.

ყოველივე ზემოთ განხილული გვაძლევს დასკვნის უფლებას,

- რომ ქართულ სამომხმარებლო ბაზარს ესაჭიროება სიღრმისეული კვლევა, თუნდაც მისი კროსკულტურული პარამეტრების განსაზღვრა და მათი ფართო გავრცელება-

რათა ხელი შევუწყოთ უცხოურ ბრენდების დამკვიდრებას და მიმზიდველი გაეხადოთ ჩვენი ბაზარი უცხოელი ინვესტორისათვის.

• ასევე, ქართული პროდუქციის უცხოურ ბაზარზე გაშვებამდე უნდა მოხდეს ამ კონკრეტული ბაზრის შესწავლა, ყველა ზემოთ განხილული კრიტერიუმის გათვალისწინებით.

კიდევ ერთხელ ვუსვამთ ხაზს, რომ კროსკულტურული კომპეტენცია ერთადერთი როდია, რომელიც განსაზღვრავს ბრენდის სიცოცხლისუნარიანობის კოეფიციენტს უცხოურ და მთლიანად საერთაშორისო ბაზარზე, მაგრამ ჩვენს კომპეტენციაში ამ ეტაპზე შედიოდა მხოლოდ ამ ერთი ასპექტის წარმოდგენა, რომელიც უდავოდ უმნიშვნელოვანესია ნებისმიერი ბრენდისა თუ კომპანიისათვის.

ლიტერატურა:

References:

1. Wilcox L. D. (2006) Public Relations, Strategies and Tactics. Boston, USA, Allyn and Bacon
2. McQuail, D. & Windahl, S. (1993) Communication Models. UK, London, Pearson, Prentice Hall
3. Kapferer, Jean-Noel. (2007) The New Strategic Brand Management. UK, London, London and Sterling Kogan Page
4. Keller, K. (2008) Strategic Brand Management. USA, New Jersey; Pearson, Prentice Hall
5. Випперфюрт, А. (2008) Вовлечение в Бренд. Как заставить покупателя работать на компанию, Россия, Питер; Коммерсантъ
6. Ляпоров, В. (2008) 100% брэнд: как продавать счастье. Россия, Питер; Питер
7. <http://www.pr2b.ru/branding/>
8. <http://www.firmennyi-stil.ru/aidentology/80/>
<http://www.slideshare.net/EmployerBrandExperts/ss-17307728>
<http://www.myshared.ru/slide/64833/>
9. <http://brandsband.com/ru/services/schoolbags.html>

Maia Kavtarashvili

Consolidation of the brand on the foreign market- adaptation or standardization in the section of the kroskultural competences

Summary

It's well-known fact that the recognition of a trademark as a brand happens after it strengthens its own place in the consumer's consciousness and even hearts. This, certainly, must be conditioned by the high quality of the product (service) and the distinct style, if you wish - even image and rule of life, that is identified to the consumption of the product. And the implementation of this invisible but expensive adjunct in the consumer's mind occurs through the scrupulously and purposely worked out successional communicational strategy. Naturally, the leading of the brand to the foreign market must from the very beginning foresee both these two components (quality & image) and at the same time could painless and mobile correcting accordingly of local consumer's ideas - relatively to the style and rule of life. Unknown not everywhere and especially not always is the synonym of the best. . Right at the beginning of any brand's positioning the company must foresee cultural context. It is known that the representatives of the same culture share the similar modul of knowledge - the context which may not disagree with the cultural context of your country. It's interesting that the context shows itself at all levels of the advertising send - from the design and packing - including the video plot.

In this article we'll also review the dilemma arisen in front of the company - which complex of the marketing it will lean upon during the positioning of the brand: 1. Standardized (united strategy in all international markets) 2. Adapted (unique strategy in every foreign market) Integrated (the strategy which unites the elements of the first two strategies) We'll review the scientific basis of that choice which every company must make - homogeneous standardization or heterogeneous adaptation. Today this position is transitioning as though the overcoming and comprehended stage. And exactly here we need scientific, well-grounded researches and analysis and not the strategies based on the intuition and private considerations. The article is the experiment to review the experience passed and crossed by the foreign markets and megabrands and set the perspectives of the Georgian consumer's market development - consolidation of the brand, its adaptation in the foreign market, matters of standardization in the section of kroskultural conception.

Keywords: Brand, image, adaptation and standardization, kros-cultural competences, brand identity, functional and emotional motives, strategic directions, message, tactics, direct communication.

Reviewer: Professor Vano Chiaureli. Georgian Technical University

მაია კავტრეშვილი

Выход бренда на иностранный рынок – адаптация или стандартизация – в ракурсе кросс-культурной компетенции

Резюме

Адаптация глобальных брендов к национальным рынкам является наиболее проблемным вопросом бренд-менеджмента. Однако, развитие рекламного брендингового рынков, быстро растущего количественно, пока еще существенно отстает в качественных оценочных категориях от насущных потребностей. Серьезные проблемы возникают у специалистов в применении таких технологий брендинга как – оценка бренда, его позиционирование, нейминг, создание визуальных идентификаторов бренда, и, конечно – кросс-культурной адаптации.

Адаптация зарубежной рекламы подразумевает сохранение ее эмоциональных и рациональных характеристик с учетом множества кросс-культурных различий двух социумов.

Например, социально-экономических различий – социальной, экономической и политической систем. Исползованная для рекламы популярная в «стародемократических» странах советская символика – в Эстонии и Польше будет встречать резкое отторжение значительной части населения. Важны также и ассоциативно-стереотипные различия – семантических, фонетических и цветовых ассоциаций, наличие социальных, эмоциональных и этических стереотипов, традиций и мироощущений.

А есть еще и маркетинговые отличия, и многие другие, которые не так уж и часто учитываются при адаптации рекламы – конкурентных сред, потребительских моделей, ценностей и предпочтений, стремлений и стилей, позиционирования товара, местных каналов коммуникаций, их распространенности и применяемости, технического и технологического развития, отношение к рекламе etc...
...Профессор Теодор Левит, утверждавший еще в начале 1980-х гг., что перед лицом всеобщей глобализации, прогресса и сниженных цен

национальные различия и предпочтения перестали играть свою роль в продвижении брендов, сильно преувеличивал.

Бренд, со всеми его атрибутами, идентификаторами и стоимостными характеристиками существует, прежде всего, в сознании потребителей. Несмотря на глобализацию, особенности этого потребительского сознания с трудом поддаются унификации, и пока еще имеют национальный характер.

Статья обозревает возможные сложности и перспективы по продвижению как мега –брендов, так и локальных брендов и необходимость кросс-культурной концепции для страховки и успеха маркетинговых кампаний.

Ключевые слова: Бренд, имидж, кросс-культурная компетенция, адаптация и стандартизация, идентичность бренда, функциональные и эмоциональные мотивы, стратегические направления, сообщение, тактика, прямая коммуникация.

Рецензент: Профессор Вано Чиаурели. Грузинский технический университет

პ რ ა ქ ტ ი კ ა

ღავით შამოევში ეფექტიანი კომუნიკაცია და მომსახურება საჯარო სამსახურში

თანამედროვე რეალობაში მოქალაქეებთან მომსახურების ხარისხზე დამოკიდებულია სახელმწიფო თუ საჯარო დაწესებულებების მუშაობის წარმატებულობა და ეფექტურობა. ეფექტიანი კომუნიკაცია და მომსახურება მოქალაქეებთან ურთიერთობას გულისხმობს და ორიენტირებულია მათი საჭიროებების დაკმაყოფილებაზე.

მომსახურების ეფექტურობაზე დამოკიდებულია არა მარტო კონკრეტული მოხელის წარმატებულობა, არამედ ზოგადად - სახელმწიფოსი, რამდენადაც მისი ნებისმიერი მოქმედების უკან სახელმწიფო მდებარეობს. მოქალაქეებთან ურთიერთობა განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას და მომსახურების მაღალი სტანდარტის გამოყენებას მოითხოვს.

საკვანძო სიტყვები: საჯარო სამსახური, კომუნიკაცია, მომსახურება.

თანამედროვე რეალობაში მომსახურების ხარისხზე დამოკიდებულია სახელმწიფო თუ საჯარო დაწესებულებების მუშაობის წარმატებულობა და ეფექტურობა. ეფექტიანი კომუნიკაცია და მომსახურება მოქალაქეებთან ურთიერთობას გულისხმობს და ორიენტირებულია მათი საჭიროებების დაკმაყოფილებაზე.

მომხმარებელი არის ის ყველა ადამიანი, რომელიც მოგემართავს ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით და სურს მიიღოს გარკვეული ინფორმაცია, პროფესიული კონსულტაცია, რეკომენდაცია ან გარკვეული შედეგი ჩვენი საქმიანობიდან გამომდინარე. ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად მომსახურების სფეროც ვითარდება, შესაბამისად, მომხმარებელი მომსახურების მაღალ სტანდარტზეა ორიენტირებული და სულ უფრო მეტად მოითხოვს ხდება სერვისისადმი.

აღნიშნული საკითხი, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საჯარო დაწესებულებებისათვის, რამდენადაც ცუდი მომსახურების პირობებში მომხმარებელთა უკმაყოფილება

იზრდება და გენერალიზებულ ხასიათს იღებს. კერძოდ, მომსახურების ეფექტურობაზე დამოკიდებულია არა მარტო კონკრეტული მოხელის წარმატებულობა, არამედ ზოგადად - სახელმწიფოსი, რამდენადაც მისი ნებისმიერი მოქმედების უკან სახელმწიფო მთავრდება. მოქალაქეებთან ურთიერთობა განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას და მომსახურების მაღალი სტანდარტის გამოყენებას მოითხოვს.

ფართო საერთაშორისო არენაზე ჩვენი ქვეყნის გასვლამ, საზღვარგარეთის ქვეყნებთან მრავალგვარი (პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული, ტექნიკური და ა.შ.) ინტეგრაციული კავშირის განვითარებამ და ცხოვრების ყველა სფეროში უცხოეთთან სწრაფად მზარდმა კონტაქტებმა, ჩვენი საზოგადოება გარკვეული პრობლემის წინაშე დააყენა. თავი იჩინა ათეული წლობით კარნაკეტილობისა და გარე სამყაროსაგან ხელოვნური იზოლაციის შედეგებმა. საერთაშორისო სტანდარტების დონეზე წარმატებული ურთიერთობისათვის საქართველოში სახელმწიფო და საჯარო დაწესებულებების უმრავლესობა, მათში მომუშავე სახელმწიფო და საჯარო მოსამსახურეები მეტ-ნაკლებად მოუმზადებელი აღმოჩნდნენ.

დღეს ცოტა თუ მოიძებნება ისეთი სფერო, სადაც კომუნიკაციის უნარი მნიშვნელოვანი არ იყოს. სწორედ ამიტომ, რომ განცხადებებში, რომელიც კერძო თუ საჯარო სამსახურებში ვაკანსიებს ეხება, ყველაზე ხშირი მოთხოვნაა „ჰქონდეს კომუნიკაციის კარგი უნარი“. კარგი ურთიერთობა ჯგუფის წევრებს შორის მნიშვნელოვნად განაპირობებს ჯგუფური მუშაობის წარმატებას. კომუნიკაციის უნარი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მომსახურების სფეროში მომუშავე ადამიანებისათვის. აქ მომსახურების ხარისხი და შესაბამისად წარმატება, პირდაპირ უკავშირდება მოქალაქეებთან ჯანსაღი ურთიერთობების დამყარებას, კონფლიქტის თავიდან აცილებისა თუ მოქალაქეების სურვილების წვდომის უნარებს. ხშირად ურთიერთობისას ერთი ადამიანი მეტადაა დამოკიდებული სხვებზე, ზოგ შემთხვევაში კი, ურთიერთობა თანასწორია.

სახელმწიფო და საჯარო სამსახურებში მომუშავე ადამიანებს ყოველდღიურად უწევთ განსხვავებული ინტერესების, კულტურის, ასაკისა თუ ეროვნების ადამიანებთან ურთიერთობა. ეს დიდ ძალისხმევასა და მოქნილობას მოითხოვს და ცხადია, კომუნიკაციის უნარების

ფლობას მათთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს. საზოგადოების მიერ დემოკრატიულ ცვლილებებში სახელმწიფო ინსტიტუტების როლის გაცნობიერება დამოკიდებულია სახელმწიფო მოხელეების ურთიერთობაზე რიგით მოქალაქეებთან. ვერავის დაარწმუნებ ადგილობრივი მმართველობის დემოკრატიულობაში, თუკი ყოველდღიურ რეალობაში ადამიანებს მოხელეთა ავტორიტარულ მართვასთან და არაეფექტურ მომსახურებასთან უხდება შეჯახება.

საქართველოს ახალი სახელმწიფო მშენებლობის მიმდინარე პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფო და საჯარო დაწესებულებებში კადრების შერჩევასა და მათთან მუშაობის სრულყოფილი სისტემის ჩამოყალიბების აუცილებლობას, ვინაიდან ამ ორგანოთა ფუნქციონირების ეფექტიანობა უშუალოდ არის დაკავშირებული ქვეყანაში საჯარო სამსახურის განვითარებასთან.

სახელმწიფო ორგანოების ნორმალური და ეფექტიანი ფუნქციონირება ბევრად არის დამოკიდებული იმ ადამიანებზეც, რომლებიც ამ დაწესებულებებში მუშაობენ. მათი პროფესიონალიზმი, პატიოსნება და მინდობილი საქმისადმი ერთგულება იმის საწინდარია, რომ სახელმწიფო მანქანა გამართულად და სწორად იმოქმედებს.

საჯარო მოსამსახურე, როგორც ქვეყნის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს მსახური, მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ხელისუფლების ავტორიტეტს, მის ქმედუნარიანობას და საქმიანობის ეფექტიანობას. ქვეყნის მართვაში ამ უდიდესი როლის, მნიშვნელობისა და ფუნქციების გამო იგი განსაკუთრებულ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს, ფლობდეს ფასეულობათა განსაკუთრებულ სისტემას, რომელიც მას დადებითად გამოარჩევს საზოგადოების სხვა წევრებისაგან.

ეფექტური მომსახურება გულისხმობს:

- მოქალაქეთა მოლოდინების გადაჭარბებას;
- ყოველი ინტერაქციისათვის (ურთიერთქმედებისათვის) დიდი მნიშვნელობის მინიჭებას;
- ყოველ მოქალაქესთან მაქსიმალური შესაძლებლობების გამოვლენას;
- მოქალაქის „მოხიბვლის“ ახალი გზების აღმოჩენას;

- საკუთარი შესაძლებლობებით საკუთარი თავის გაკვირვებას;

- მოქალაქეთა ისეთ სერვისს, როგორსაც საკუთარ მეგობარს გაუწევდით.

რას წარმოადგენს მომხმარებელი (მოქალაქე) ჩვენთვის:

1. მოქალაქე არის ყველაზე მნიშვნელოვანი პირი მათ შორის, ვინც ოდესმე მოსულა ჩვენს დაწესებულებაში, ან მოუმართავს ჩვენთვის;

2. მოქალაქე არ არის დამოკიდებული ჩვენზე, პირიქით, ჩვენ ვართ დამოკიდებული მასზე;

3. მოქალაქე არ უშლის ხელს ჩვენს მუშაობას, იგი წარმოადგენს მუშაობის მთავარ მიზანსა და არსს;

4. მოქალაქე არის ის, ვისაც არ შეიძლება შევეკამათოთ და დავცინოთ. არავინ დარჩენილა მოგებაში მოქალაქესთან რაიმეზე კამათით;

ეფექტური მომსახურების და კომუნიკაციის პრინციპია დავეხმართ მოქალაქეებს ზუსტად და კონკრეტულად გაერკვნენ საკუთარ მოთხოვნებებში. წარმატებული თანამშრომლის დევიზია: „მე თქვენ დაგეხმარებით!“ ის აძლევს მოქალაქეებს ინფორმაციას, რეკომენდაციებს. ისეთ შემთხვევაშიც კი, როცა მათი მოთხოვნის დაკმაყოფილება აქ შეუძლებელია, შესთავაზებს პრობლემის გადაჭრის გზებსა და ალტერნატივებს. კომუნიკაცია არის ადამიანთა შორის ინფორმაციის გაცვლის პროცესი. ამ პროცესში ადგილი აქვს ორ ან მეტ ადამიანს შორის არა უბრალო ინფორმაციის გაცვლას, არამედ მასში ადამიანთა შორის გარკვეული სოციალური კავშირების დამყარებას.

რა არის მოქალაქის ერთგულება? ეს არ არის მხოლოდ მოქალაქის კმაყოფილება. კმაყოფილება საჭირო ელემენტია, თუმცა არა საკმარისი. მოქალაქე შეიძლება კმაყოფილი იყოს დღეს, რაც არ ნიშნავს იმას, რომ ის ერთგული იქნება დაწესებულების მიმართ. ერთგულებას განსაზღვრავს სამი მნიშვნელოვანი კომპონენტის კომბინაცია:

1. მოქალაქის მდგრადი კმაყოფილება - კმაყოფილების დაბალი ან მერყევი დონეები ვერ უზრუნველყოფს ერთგულების მოპოვებას;

2. მოქალაქის ნდობა;

3. მოტივირებულობა: სხვებისათვის რეკომენდაციის გაწევის სურვილი - მოქალაქეთა მიერ ზეპირად გავრცელებულ რეკომენდაციებს ვერაფერით ვერკლამა ვერ შეედრება.

როგორ მოვიპოვოთ მოქალაქეთა ერთგულება? გადავაჭარბოთ მათ მოლოდინს და მოვიპოვოთ მათგან დადებითი შეფასება, გამოვიყენოთ ეფექტური კომუნიკაციის მოდელზე დაფუძნებული მომსახურების მაღალი სტანდარტი.

მოქალაქის ერთგულება იღვიძებს მაშინ, როცა ის ხედავს, რომ საქმე, რომელსაც თანამშრომლები ასრულებენ, მათთვის უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ სამსახური. საშუალო ან დაბალი ხარისხის მომსახურების მიწოდებას და უხალისო მომსახურებას მოქალაქეების უარყოფით დამოკიდებულებამდე მიყვავართ. მოქალაქის კეთილგანწყობის მოპოვება და მათთან პარტნიორული ურთიერთობების დამყარება განაპირობებს მათი მხრიდან პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბებას, შესაბამისად, მათი მიმდებლობა იზრდება. შედეგად, საკითხის გადაწყვეტის პროცესში ორივე მხარის აქტიური ჩართულობა საქმიანობის ეფექტურობას კიდევ უფრო ზრდის.

მნიშვნელოვანია მოქალაქის ინდიფერენტულობის (გულგრილობის) ზონიდან ერთგულების - მოტივირებულობის კატეგორიაში გადაყვანა, რადგან თვით კმაყოფილი მოქალაქეც კი ნეიტრალური შეიძლება იყოს და სულ მცირე მიზეზიც კი გახდეს საკმარისი მისი უკმაყოფილებისათვის. შესაძლოა, ერთჯერადმა მომსახურებამ დააკმაყოფილოს კიდევ მათი მოთხოვნა, მაგრამ ვერ შეუქმნას გარშემომყოფთათვის რეკომენდაციის გაწევის მოტივაცია. კმაყოფილ და მოტივირებულ მოქალაქეებს შორის არსებობს „ინდიფერენტულობის ზონა“. ჩვენი ამოცანაა გავცდეთ კმაყოფილებას და ვიმოძრაოთ მოტივაციისაკენ. ეს ყველაზე უკეთ მაშინ მიიღწევა, როდესაც ვითვალისწინებთ მოქალაქის განწყობასა და მოლოდინებს.

მოქალაქე, რომელსაც რაიმე პრობლემა უჩნდება და რომელსაც დაუყოვნებლივ მიაქციეს ყურადღება, უფრო ხშირად ხდება ერთგული, ვიდრე ის მოქალაქე, რომელსაც პრობლემა არასოდეს გასჩენია. ასეთ დროს, იმ შემთხვევებშიც კი, როცა მოქალაქის პრობლემა 100 პროცენტით არ წყდება მის სასარგებლოდ, მისი ერთგულება მაინც იზრდება. ის ფაქტი, რომ მისი პრობლემა აღიარეს და უეჭურადღებოდ არ დატოვეს, საკმარისი ხდება მოქალაქის დამოკიდებულების განსამტკიცებლად. ამდენად, კმაყოფილ მოქალაქეს უჩნდება სხვებისათვის რეკომენდაციის გაწევის სურვილი, რაც ზოგადად საჯარო მმართველობის ორგანოების იმიჯს ზრდის. აღამიანები უყვებიან გარშემომყოფებს მიღებული

მომსახურების შესახებ, თუკი ის განსხვავებულია და გამორჩეული.

გამოცდილება გვიჩვენებს, იმისათვის, რომ ადამიანებმა დაკმაყოფილებულად იგრძნონ თავი, მათ უნდა იგრძნონ სამი სხვადასხვა მოთხოვნილების დაკმაყოფილება, მათ გარკვეული ხარისხით უნდა მიიღონ მატერიალური, ფსიქოლოგიური და პროცედურული დაკმაყოფილება.

1. მატერიალური დაკმაყოფილებისას ადამიანები იღებენ ფულს, მიწას, რესურსს ან ძალაუფლებას და სხვა რაიმე მატერიალურ სარგებელს;

2. ფსიქოლოგიური დაკმაყოფილება გულისხმობს, თუ რამდენად პატივისცემით მოეპყრნენ მას, რამდენად კანონიერად ჩათვალეს მისი საჩივარი, რამდენად მისადები იყო მეორე მხარის მიერ მისი პიროვნება ან სტატუსი და ა.შ.

3. პროცედურული დაკმაყოფილება გულისხმობს, თუ რამდენად გრძობდნენ ადამიანები, რომ პროცესი მიმდინარეობს სამართლიანად, რაციონალურად, ლოგიკურად და ამომწურავად.

დაკმაყოფილება გულისხმობს ამ სამივე კომპონენტის მეტ-ნაკლებად დაკმაყოფილებას. მოქალაქებთან ურთიერთობისას ყველაზე მეტად ჩვენს ხელშია ფსიქოლოგიური კმაყოფილება. მითუმეტეს, როდესაც მატერიალურზე უარს ვეუბნებით, მაქსიმალურად უნდა შევუვსოთ ეს ფსიქოლოგიური კმაყოფილებით. ფსიქოლოგიური კმაყოფილება მოქალაქეთა კეთილგანწყობასა და ერთგულებას, ნდობის ფორმირებას განაპირობებს.

ამდენად, ყველა ადამიანს საკუთარი შინაგანი სამყარო აქვს თავისი წესებით, რომელსაც ამ კონკრეტული ადამიანის უნიკალური გამოცდილება განაპირობებს. ორი ერთნაირი ადამიანი კი არ არსებობს. რამდენადაც თითოეული ადამიანი ინდივიდუალურია და განსხვავებულად აღიქვამს მოვლენებს, გაუგებრობის თავიდან ასარიდებლად ინფორმაციის გადაცემისას მაქსიმალურად დავაკონკრეტოთ მოვლენები და გადავცეთ ობიექტური რეალობის ტერმინებში. თუ ადამიანს არ ესმის რაიმე, ავუსხნათ მას და მაქსიმალურად დავაკონკრეტოთ ინფორმაცია ობიექტური რეალობის ენაზე. ხოლო, როდესაც მოქალაქე მოგვართავს განრისხებული, შევხედოთ მის პრობლემას მისივე სუბიექტური რეალობიდან და მისი გადმოსახედიდან გაგაანალიზოთ სიტუაცია, რადგან ის, რაც მისთვის კატასტროფად აღიქმება და პრობლემაა, ის

შესაძლებელია ჩვენთვის ჩვეულებრივი მოვლენა იყოს - რიგითი მოქალაქე სტანდარტული პრობლემით. მოქალაქეთა სუბიექტური რეალობის გათვალისწინება დაგვეხმარება შევხედოთ მოვლენებს მათი თვალით და გამოვავლინოთ ემპათია, რაც მათივე სუბიექტური რეალობის გათვალისწინებით ემოციურ მხარდაჭერას გულისხმობს, ნაცვლად ინდიფერენტული (გულგრილი) მოპყრობისა.

ლიტერატურა:

References:

1. sumbaZe a., maxaraZe T. interpersonaluri komunikacia. Tbilisi 2010.
2. adgilobrivi TviTmmarTvelobis servisebis miwodebis standartebi (samagido kvleva da rekomendaciebi), fondi Ria sazogadoeba-saqarTvelo, Tbilisi 2010.
3. svaniSvili a. samagido wigni sakrebulo wevrebisaTvis. Tbilisi, 2010.
4. zardiaSvili d., svaniSvili al., CantlaZe ir. sajaro samsaxuri. Tbilisi 2004.
5. jolia g. saerTaSoriso etiketi. Tbilisi 2001.

David Shamoev

Effective Communication and Service in Public Service

Summary

The reality of modern citizen's quality of service depends on the success and effectiveness of the work of state and public institutions. Effective communication and relationships between citizens and services are mainly focused on their needs. Service efficiency depends not only on the success of a particular officer, but in general - the extent to which its state is considered to be behind any action. A relationship with our citizens requires a service with a high standard, which is our responsibility.

Keywords: Public service, communication, service.

Reviewer: Professor Otar Kochoradze. Georgian Technical University

Давид Шамоев

Эффективная коммуникация и обслуживание в публичной службе

Резюме

Что же нужно знать и делать, чтобы создавать доверительные отношения? Ну, во-первых, создание отношений – это процесс. Невозможно сразу за одну минуту создать именно доверительные отношения. Деловая коммуникация является неотъемлемой частью корпоративной культуры, одним из наиболее ярких индикаторов ее состояния, а также эффективным инструментом ее развития.

От того, насколько свободно мы владеем инструментами коммуникации, зависит также наша способность убеждать других и добиваться нужного нам результата.

Ключевые слова: публичная служба, коммуникация, обслуживание.

Рецензент: Профессор Отар Кочорадзе. Грузинский технический университет

ბიორბი ბალთური,თენია მაისურაძე,
კვლევის მეთოდოლოგია ორგანიზაციათა
ცვლილებებისადმი მზადყოფნის შესასწავლად

რეზიუმე

თანამედროვე პირობებში, როდესაც კონკურენციის პირობები სულ უფრო მკაცრდება, ორგანიზაციები მზად უნდა იყვნენ ახალი გამოწვევებისათვის, მათ უნდა მოახერხონ ისეთი ცვლილებების განხორციელება, რაც სრულყოფს ორგანიზაციის მენეჯმენტს, უფრო ეფექტიანს გახდის ახალი ბაზრების მოძიების პროცესს, გააუმჯობესებს ორგანიზაციაში არსებულ პროდუქციას და მომსახურებას და შექმნის ახალს. საზოგადოებაში სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების ცვლილებების, მეცნიერების განვითარების, ახალი ტექნოლოგიური მიღწევების ფონზე აუცილებელი ხდება განისაზღვროს ორგანიზაციის პროდუქციისა და სერვისების როგორც ახალი, პოტენციალური მომხმარებლების წარმოქმნის შესაძლებლობა, ისე ლოიალური მომხმარებლების ახალი სურვილები. ასეთი გარემოება მოითხოვს მუდმივი ცვლილებებისა და განვითარების აუცილებლობას, იმისათვის რათა ორგანიზაცია კვლავაც შეესაბამებოდეს განვითარებადი ბაზრებისა და მომხმარებელთა გაზრდილი მოთხოვნების ახალ სტანდარტებს ყოველი ახალი, განსაკუთრებული პროდუქტისა თუ სერვისის მიმართ, რომლებსაც თავაზობენ ბაზარს მრავალრიცხოვანი კონკურენტები.

სტატიაში განხილულია ცვლილებებისადმი მზაობის ზოგადი მოსაზრებები და შემოთავაზებულია კვლევის მეთოდოლოგია ორგანიზაციათ ცვლილებებისადმი მზაობის გაზომვის მიზნით, განხილულია კვლევის დაქვემდებარებული მეთოდოლოგიის გამოყენების შესაძლებლობა საქართველოს საშუალო განათლების სისტემისთვის, განსაზღვრულია გასაზომი ცვლადები, რომლების განსაზღვრულია შერჩეული ფოკუს-ჯგუფისთვის. კვლევის შედეგად გაკეთებული აშესაბამისი რეკომენდაციები.

საკვანძო სიტყვები: ორგანიზაცია; ცვლილებები; ცვლილებებისადმი მზაობა; ცვლილებებისადმი მზაობის გაზომვა; კვლევის მეთოდოლოგია; საქართველოს საშუალო განათლების სისტემა; ცვლადები; ინტერვიუ; ფოკუს ჯგუფი.

შესავალი

რათა ორგანიზაციამ შეძლოს დასახული მიზნების მიღწევა ორგანიზაციის განვითარების ყველა სტადიაზე უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ცვლილებებს. (Burnes 2005). იმისათვის რომ ცვალებად გარემოში შეუფერხებლად გაგრძელდეს ორგანიზაციის ფუნქციონირება საჭიროა ადაპტაცია ცვლილებათა ახალ ტალღებთან. ბიზნესის ცვლად პირობებთან შეგუების პროცესი ყოველთვის დაკავშირებულია მეტ-ნაკლები სიმპაფრის სხვადასხვა სახის პრობლემებთან (Kotter, 1995). იმისათვის, რომ ეს პრობლემები უმტკივნეულოდ ან ნაკლები დანაკარგებით გადაილახოს ორგანიზაციამ ფეხი უნდა აუწყოს არაპროგნოზირებად ცვლად რითმს იმ გარემოში რომელშიც იგი მოქმედებს. ამის მისაღწევად ორგანიზაციას უპირველეს ყოვლისა საჭიროა ჰყავდეს პერსონალი რომელიც შეძლებს ცვლილებისათვის ფეხის აწყობას, რაც განსაკუთრებით რთულია ისეთ პირობებში სადაც "ჩვეული, ძველი" წესები დომინირებს.

ცვლილება ყოველთვის ახლის კეთებასთანაა დაკავშირებული, "ცვლილება მოიცავს იმის კეთებას, რაც მათ ადრე არ გაუკეთებიათ" (Galvin, 2003). ხალხი ზოგადად და საერთოდ ორგანიზაციის პერსონალი, როგორც წესი კრიტიკულად არის განწყობილი ცვლილებების მიმართ, სწორედ ამიტომ ადამიანები ცვლილებების მართვის დროს წარმოადგენენ ყველაზე კრიტიკულ რესურსს, მხარდამჭერს, ბარიერსა და რისკის წყაროს. ცვლილებების პროცესის ქვეშ მყოფნი განიცდიან სხვადასხვა ემოციებს: იმედგაცრუებას, სიბრაზეს, გულისტკივილს, თანხმობას, ენთუზიაზმსა და ხალისს. ამ ემოციებიდან რომელს განიცდის ორგანიზაციის პერსონალი დამოკიდებულია იმაზე თუ რატომ არის იგი ჩართული ცვლილებების პროცესში: საკუთარი სურვილით თუ დაძალებით, აგრეთვე კონსულტაციებისა და მხარდაჭერის სიხშირეზე ლიდერის მხრიდან ცვლილებების პერიოდში. სავარაუდო რეაქციათა დიაპაზონი დაეხმარება ლიდერს განსაზღვროს შესაფერისი პასუხი თანამშრომელთა საზრუნავის მიმართ. ამ ემოციების გამომწვევი მიზეზების ცოდნა დაეხმარება ლიდერს ცვლილების იმ გზით გაცნობაში, სადაც იგი შეძლებს თანამშრომელთა საზრუნავის განჭვრეტას, გააზრებასა და მათთვის პასუხის გაცემას.

ემპირიული მონაცემები გვიჩვენებს რომ თანამშრომელთა წინააღმდეგობა ხელს უწყობს სამუშაოსთან

დაკავშირებული რიგი ცვლადების წინასწარმეტყველებას, რაც თავისთავად ასუსტებს ორგანიზაციის ეფექტიან ფუნქციონირებას (Wanberg & Banas, 2000). ხშირად ნახსენები შედეგები მოიცავს დაბალ კმაყოფილებას სამსახურში, დაბალ ვალდებულებას, სამსახურის მიტოვების მძაფრ სურვილს და ავადმყოფობის დროის ზრდას. ამავდროულად კვლევები მიგვითითებს მმართველობისადმი არსებული რწმენისადმი როგორც სამსახურში კმაყოფილების ამადლების, ამადლებული ვალდებულებისა და სამსახურის მიტოვების სურვილს კლების მიზეზებს. ყველაფერი ზემოხსენებული მიღწევადია მხოლოდ სათანადო კომუნიკაციის საშუალებით, როდესაც აქცენტი კეთდება კეთილგანწყობით, თითოეული თანამშრომლისათვის ინდივიდუალური სარგებლისა და სასურველ შედეგზე ორიენტაციით (Chawla, 2004).

ცვლილებებისადმი მზადყოფნის ფაქტორები (ცვლადები)

კვლევის მეთოდოლოგიის მიხედვით თავდაპირველად ზუსტად უნდა განისაზღვროს კვლევის საკითხი, ის კონკრეტულ პრობლემა რომლის გადაჭრაც აქვს დასახული მიზნად მკვლევარს. შემდეგ უნდა ავანისაზღვროს ის ცვლადები, რომლებიც ახასიათებენ საკვლევ საკითხს და რომელთა დაკვირვება და გაზომვა იანება შესაძლებელი. ცვლილებათა ფენომენის შესწავლის საფუძველზე განისაზღვრა ის ცვლადები, რაზეც დამოკიდებულია თანამშრომელთა მზობა ცვლილებებისათვის. ჩვენი აზრით ესენი გახლავთ მოტივაცია, კომუნიკაცია და ლიდერობა (Maisuradze, 2012, 2013).

როდესაც ცვლილებებზე ვსაუბრობთ ტრადიციული მოტივაციის იარაღები ვერ ახერხებენ თანამშრომელთა მორალის ამადლებას რათა მათ შეძლონ განახორციელონ სასურველი შედეგები (Armenakis et al, 2007). ამის შემდეგ დგება საკითხი იმაზე თუ როგორ უნდა შევძლოთ თანამშრომლის მოტივირება რათა იგი ჩაებას ცვლილებების პროცესში და ასევე მზად იყოს მუდმივად ცვლად გარემოში ადაპტაციისათვის. უნდა გავითვალისწინოთ რომ პერსონალი ორგანიზაციის ყველაზე ღირებული ფასეულობაა, ამავდროულად პერსონალი ყველაზე რთულ ღირებულებას წარმოადგენს, რადგანაც მათ სჭირდებათ მოვლა, ზრუნვა, მონიტორინგი და კონტროლი. იქიდან გამომდინარე, რომ ადამიანები სხვადასხვა ნიჭით არიან დაჯილდოვებულნი და მათი რეაქცია სხვადასხვა გარემოზე განსხვავებულია,

შეუძლებელია კონკრეტული პროგნოზის გაკეთება პერსონალის მომავალ ქმედებებზე. ვინაიდან ადამიანების ურთიერთჩანაცვლება სირთულებთანაა დაკავშირებული, განსაკუთრებით ცვლილებათა პერიოდში, ორგანიზაციები სერიოზული სირთულეების წინაშე იმყოფებიან გარდატეხის პერიოდში. ამ შემთხვევაში ერთადერთი იარაღი, რომელიც მმართველობამ შეიძლება გამოიყენოს არის "მოტივი", რომელიც მამოძრავებელი ძალაა ადამიანში. ადამიანის ქცევის გაანალიზება რთულია და ერთი ადამიანის მოტივი შესაძლოა მეორესათვის დამაბნეველი იყოს. თვითონ საკუთარი მოტივის გააზრებაშიც კი შეიძლება შეეჭმნას ადამიანს სირთულეები. აქედან გამომდინარე ხელმძღვანელისთვის მეტად რთულია გაერკვეს თითოეული თანამშრომლის სავარაუდო ქმედებაში იმისათვის რათა შეურჩიოს მას შესაფერისი სამოქმედო ტაქტიკა.

ცვლილებათა მართებულად კომუნიკაციის მიზნით განხილული უნდა იქნეს ცვლილებათა სტადიები რადგანაც ცვლილებების განხორციელებისას ყველა მონაწილე არ არის ლოიალური ამ პროცესისადმი. თავდაპირველად გუნდის წევრები მისტირიან ძველ სტატუსს, წარმოიდგენენ რა რომ ისინი აგრძელებენ მუშაობას ისეთ გარემოში სადაც არ არსებობს სტრატეგიული თუ ეკონომიური საფრთხეები ან სხვა მოჩვენებითი მაჩვენებლები. პერსონალი ინარჩუნებს იერსახეს, ადამიანები ისე იქცევიან რომ თითქოსდა ისმენენ და ეთანხმებიან ლიდერის მოწოდებებს ჩაებან ცვლილებებში. ამ შემთხვევაში კომუნიკატორის მხრიდან საჭიროა სარგებელთა ახსნა და დეტალური ახსნა იმაზე, თუ რა არის კონკრეტული მოქმედების გეგმა, თითოეული თანამშრომლის სამუშაო და დანიშნულება მთლიან პროცესში. მეორე სტადია წარმოადგენს პერიოდს როდესაც თანამშრომლები გამოყოფენ და ადანაშაულებენ მათ ვინც ცვლილების ინიცირებით გამოიწვია დისკომფორტი. ისინი დარდობენ ნაცნობ წარსულზე და გაურკვეველი მომავლის მოლოდინში თავს გრძნობენ შეშინებულად და გაუბედავად. სწორედ ამ ეტაპზეა საჭირო პერსონალის უნარების შეფასება და თანამშრომელთა წვრთნა ტრენინგების სახით. ამ ეტაპზე იწყებს ცვლილებათა მაგიური ძალა მუშაობას, როდესაც თანამშრომლები თავდაჯერებულად გრძნობენ თავს და მზად არიან გაითავისონ ცვლილებათა მოტანილი სარგებელი. მესამე სტადიაში მიმდევრები ავლენენ უხალისო თანხმობას, მიდგომით "უკვე აზრი არა აქვს

ძალისხმევას”, სწორედ ამ დროს არის საჭირო ყველა პატარა მოქმედების შექება რათა მოხდეს განსაზღვრულ მოქმედებათა მიღწევა, რაც განაპირობებს ორგანიზაციის წარმატებას. საბოლოო ეტაპი, რომლის მიღწევისაკენაც მიიღწეის ყველა ლიდერი, წარმოადგენს პერიოდს, როდესაც გუნდის წევრები გადაწყვეტენ სრულად ჩაებან ცვლილებების პროცესში. ისინი უერთდებიან ლიდერს რომლის ქმედებებიც უკვე აღქმადია და ამ შემთხვევაში ლიდერი ახდენს გარდაქმნების პერიოდის მშვიდ რეგულირებას რაც ხელს უწყობს თანამშრომელთა მხრივ მოქმედებათა პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღებას.

ორგანიზაციის წარმატების განმსაზღვრელ ფაქტორებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლი ლიდერობას უკავია. ლიდერობა განსხვავებას გვთავაზობს. ძირითად სიტუაციებში ლიდერის წარმატება განსაზღვრავს მისი გუნდის, ჯარისა თუ ორგანიზაციის წარმატებას (Neves & Caetano 2009). ორგანიზაციის ცვლილებებთან ერთად იცვლება ლიდერობის კონცეფციაც. გარემო რაშიც ლიდერს უწევს მოქმედება განსაზღვრავს იმ მიდგომას რომელსაც ლიდერი ირჩევს და ასევე განსაზღვრავს თუ როგორი ლიდერია სასურველი. დღევანდელ ლიდერობაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს გარემოს ის რყევები, რაც თან სდევს დღევანდელ პროცესებს. ლიტერატურაში ყველაზე მიღებული ვერსია გახლავთ ლიდერობის მიდგომის მორგება სხვადასხვა ცვლილებათა სიტუაციებისათვის. გრეინერმა (Greiner, 1972) და სხვებმა წარმოადგინეს სხვადასხვა ორგანიზაციის სიცოცხლის ციკლის სტადიები: ჩამოყალიბება, ზრდა, მომწიფება, დაცემა. ისინი ამტკიცებენ, რომ თითოეულ სტადიას ესაჭიროება სპეციფიური მიდგომა რათა გარანტირებული იქნეს ორგანიზაციის წინსვლა. მაგალითად, ჩამოყალიბების პერიოდში, როდესაც ბაზარი და მასში არსებული სტრუქტურები სწრაფად ვითარდება ლიდერობისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია კრეატიულობა და სამეწარმეო (ენტერპრენიორული) სულისკვეთება.

კვლევის ორგანიზება და მასთან დაკავშირებული თავისებურებანი

ისეთი სერიოზული ფენომენის შესწავლა როგორცაა ადამიანის ქცევა უთანაბრდება მცდელობას დაამყარო მსოფლიო მშვიდობა. ეს უფრო რთულია და წააგავს უტოპიურ შეჭიდებას განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მოქმედება ხდება

იმ საუკუნეში სადაც მთელი მსოფლიო ფინანსურ წახალისებაზე დაყრდნობილი. პრობლემის სირთულიდან გამომდინარე არსებობდა იმის ალბათობა, რომ შექმნილი იქნებოდა საკმარისი ინფორმაციის მოპოვება, რამაც განაპირობა კვლევის პროცესის ოპტიმალურად წარმართვა. კვლევის პროცესი ზოგადად წარმოადგენს ინფორმაციის შეკრებასა და გამოკვლევას, სისტემატიურ და მეთოდოლოგიურ ანალიზს, რის შედეგადაც მიღწეული უნდა იქნას საკითხის შესახებ ცოდნის ამღვლევა კვლევის ჩარჩოს ფარგლებში. ცვლილებების მართვის შემთხვევაში იმისათვის რომ ორგანიზაციამ მიახდინოს მისი საბაზრო პოზიციების შენარჩუნება საჭიროა ინდივიდუალური თანამშრომლის მდგომარეობის გააზრება. იმისათვის რომ ორგანიზაცია მუდმივ მზადყოფნაში იმყოფებოდეს აუცილებელია შეირჩეს კვლევის შესაბამისი მეთოდები რათა მართებულად მოხდეს ინფორმაციის შეგროვება, მათი ანალიზი და შესაბამისად გამოყენება (ქონეს ეტ ალ 2005).

ჩვენი სპეციფიკიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია ყველა თანამშრომლის სათითაოდ შესწავლა და რაც უფრო რთულია მათი როლისა და დამოკიდებულების განსაზღვრა დანარჩენი თანამშრომლებისა და სრული სისტემის მიმართ.

მოტივაცია, კომუნიკაცია და ლიდერობაგახლდათ წინამდებარე კონკრეტული კვლევის სამი ცვლადი, სამი განმსაზღვრელი ფაქტორი. მაგრამ, გამოკითხვამ გვიჩვენა, რომ აქედან ერთი, კერძოდ მოტივაცია არ იქნა სათანადოდ ამოწურული და შესწავლილი (აისურადზე, 2012). იქიდან გამომდინარე, რომ კვლევამ, (კერძოდ, კითხვარებმა) ვერ ამოწურა საკვლევი პრობლემატიკა, გადაწყდა ჩატარებულიყო პირველადი კვლევა რათა მოგვეგროვებინა საკმარისი მასალა შემდგომი კვლევისათვის. საკვლევი საკითხი ამ შემთხვევაში იყო თუ რა იყო ცვლილებებისადმი მზაობა და რა ფაქტორები განსაზღვრავდა თანამშრომელთა რწმენას ცვლილებისას წარმატებაში. თანამშრომლები რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ფოკუს ჯგუფებში გამოსადეგი ინფორმაცია მოგვაწოდეს კონკრეტულ ქმედებებზე, რაც განიცადა ორგანიზაციამ ცვლილებების პერიოდში, რამაც ნათელი მოჰყვინა ცვლილებებისათვის მზაობის მოტივაციის საკითხებს (აისურადზე, 2013). პირველადი კვლევის მეორე ეტაპის მიზანი იყო ადლო აგველო არსებული საკითხისათვის რათა შეგვძლებოდა მისი დეტალური შესწავლა შემდგომ ეტაპზე.

ქვემოთ განხილულია კვლევის ალგორითმი, რომლის გამოყენებაც შესაძლებელია ნებისმიერი ორგანიზაციისთვის მათი განსხვავებული სპეციფიკის გათვალისწინებით.

ა. არსებული ცოდნის მიმოხილვა და სინთეზირება
 კვლევის დაწყება უკავშირდება ლითერატურის მიმოხილვას, რაც, როგორც წესი გეთავაზობს სათანადო თეორიულ მასალას კვლევის დაწყებისათვის. ჩვენს შემთხვევაში ძირითადი აქცენტი გახლდათ ცვლილებათა მართვის მოდელები და პრაქტიკული გზამკვლევები მათი განხორციელებისათვის. ამ ეტაპისთვის მთავარი აქცენტი გახლდათ ინფორმაციის სინთეზირებაზე რათა იგი დაგვეყვანა კონკრეტულ ცვლადებამდე, რომელთა ურთიერთდამოკიდებულება და გავლენა შემოწმდებოდა კვლევის შედგომ ეტაპზე. ლიტერატურის კვლევის შემდეგ შესაძლებელი გახდა სამი ცვლადის გამოყოფა: მოტივაცია, კომუნიკაცია და ლიდერობა. ძირითად შემთხვევაში სირთულეს წარმოადგენს ისეთი თეორიების შეერთება, რომელთაც რადიკალურად განსხვავებული მაჩვენებლები აქვთ.

ბ. არსებული სიტუაციისა თუ პრობლემის გამოკვლევა
 ამომავალი წერტილი კვლევის პრობლემისა გახლავთ ის პრობლემა რის გადაჭრასაც ზოგადად კვლევის მიზანი მოიცავს. თემატიკის სირთულესთან ერთად განსხვავდება პრობლემატიკის კომპლექსურობა და ხშირად მკვლევარს ხელმეორე ან დამატებითი პირველადი კვლევის ჩატარება უწევს, რათა ნათელი მოჰფინოს იმ საკითხებს რომელიც ნაკლებადაა გაშუქებული ლიტერატურის ან პრაქტიკული სამუშაოების მიერ. ჩვენს შემთხვევაში ამომავალი პრობლემა გახლდათ ცვლილებათა ინიციატივების 70%-იანი წარუმატებლობა. აქ ძირითადი გასათვალისწინებელი ფაქტორი გახლავთ ცვლილებათა საჭიროება და სოციალური შიგთავსი. პრაქტიკული კვლევები ცვლილებათა მართვის საკითხებში გეთავაზობენ რიგ რეკომენდაციებს, მაგრამ გავითვალისწინეთ რა ადამიანური და ორგანიზაციული ბუნება, რთულია ორ შემთხვევას შორის გავავლოთ უტყუარი პარალელი. თითოეული შემთხვევისათვის გასათვალისწინებელია სოციალური გარემო, შიდა და გარე ფაქტორები რომლებიც განაპირობებენ ამათუიმ გადაწყვეტილებების მიღებას სხვადასხვა ორგანიზაციებში.

გ. პრობლემის გადაჭრისათვის მიმართულების შეთავაზება

როგორც აღინიშნა, ზემოთ მოყვანილი სამი ცვლადი გახლდათ ჩვენი კონკრეტული მაგალითის განმსაზღვრელი ფაქტორები, მაგრამ გამოკითხვამ გუიჩვენა, რომ აქედან ერთი, კერძოდ მოტივაცია არ იქნა სათანადოდ ამოწურული და შესწავლილი. შემდგომი კვლევის შედეგად საკვლევი საკითხი ჩამოყალიბდა შემდეგნაირად - იყო თუ რა იყო ცვლილებებისადმი მზაობა და რა ფაქტორები განსაზღვრავდა თანამშრომელთა რწმენას ცვლილებისას წარმატებაში. თანამშრომლები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ფოკუს ჯგუფებში სასარგებლო ინფორმაცია მოგვაწოდეს კონკრეტულ ქმედებებზე, რაც განიცადა ორგანიზაციამ ცვლილებების პერიოდში, რამაც ნათელი მოჰფინა ცვლილებებისათვის მზაობის მოტივაციის საკითხებს. მეორე ეტაპზე გაგრძელდა არსებული საკითხის დეტალური შესწავლა.

დ. უფრო ზოგადი საკითხის გამოკვლევა და ანალიზი რადგანაც მოტივაციის საკითხი არ იქნა სათანადოდ ამოწურული და შესწავლილი, გაგრძელდა არსებული წყაროების უფრო სიღრმისეული კვლევა. არსებული თეორიების განხილვის შემდეგ დაიგეგმა პირველადი კვლევა, რომლის მეშვეობითაც ფოკუს ჯგუფებთან ინტერვიუების საშუალებით განხილულ იქნა ის კონკრეტულ ქმედებები, რომლებიც ხორციელდებოდა ორგანიზაციაში ცვლილებების პერიოდში.

ე. სისტემის ან პროცედურის შექმნა

კვლევის მეთოდების გათვალისწინებით ზოგადად საკვლევი ჯგუფი უნდა იყოს არსებული საკვლევი ერთობლიობის (გენერალური ერთობლიობის) სრულფასოვანი წარმომადგენელი (ე.წ. რეპრეზენტატიული ამონარჩევი). მხოლოდ მაშინ ჩაითვლება კვლევა ვალიდურად და, შესაბამისად, მისი დასკვნები მისაღებად. ჩვენს შემთხვევაში მიდგომა კვლევის დაგეგმვისადმი განსხვავებული გახლდათ. შერჩეულ იქნა წარმატებული ორგანიზაცია (ფოკუს ჯგუფი), რომლის კონკრეტული ქმედებები იქნა განხილული რათა შეგვექმნა სანიმუშო პროცედურა, რაც სხვა ორგანიზაციებისათვის იქნებოდა გზამკვლევი წარმატებისაკენ. ფოკუს ჯგუფის გამოკითხვის მეშვეობით განისაზღვრა თანამშრომელთა ყველა ის ქმედება, რომელიც აჩვენებდა ორგანიზაციის მზაობას ცვლილებებისადმი.

ვ. ახალი ფენომენის ახსნა

ჩატარებული კვლევის ბოლო ეტაპის მიზანი გახლდათ ორი მოდელის გაერთიანება/შეერთება. ერთი მოდელი მიღებულ იქნა გამოკითხვის შედეგად, ხოლო მეორე მოდელი - ფოკუს ჯგუფებში მუშაობის შედეგად. ასეთი შეერთებული მოდელის მეშვეობით შესაძლებელი გახდა კონკრეტული ღირებულებების ჩამოყალიბება ცვლილებების მართვის ასპარეზზე ჩართული ორგანიზაციებისათვის. ამრიგად დაკავშირებულ იქნა: 1) ორგანიზაციისადმი რწმენა გაზიარებულ ღირებულებები/დროული გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობასთან; 2) კონკრეტულ ღონისძიებათა გაგება-გააზრება/ძველი და ახალი მოვალეობების გამოიჭენასთან; 3) ლიდერობის კომპეტენცია და თანადგომა / პერსონიფიკაციასა და ცვლილებათა აგენტის მომზადებასთან. ინდუქციითა და რეორგანიზებით განხორციელდა ისეთი განზოგადოება, რომელიც კვლევის შედეგად მიღებული თეორიის სხვა გარემოში და მოსახლეობაზე გამოყენების შესაძლებლობას იძლევა.

ზ. ახალი ცოდნის შექმნა

კვლევის უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენს იმ ახალი ცოდნის შექმნა, რომელიც აკადემიურად და პრაქტიკულად გამოსადეგი იქნება ზოგად კონტექსტში. იმისათვის რომ კვლევა დასრულებული და სრულყოფილი იქნას აუცილებელია მომხმარებელს შევთავაზოთ განზოგადებული მასალა. ჩვენს შემთხვევაში კვლევამ დაადასტურა რომ მიუხედავად პირადი, სოციალური თუ სტატუსის განსხვავებისა, ნებისმიერ ორგანიზაციას შეუძლია მიადწიოს ცვლილებათა ინიციატივის განხორციელებას თუ იგი შეძლებს თანამშრომელთა მზაობის საჭირო ბალანსის მიღწევას, რასაც იგი სისტემატურად არეგულირებს სათანადო კომუნიკაციის საშუალებით.

დასკვნა

კვლევის საბოლოო ეტაპი აერთიანებს წინამდებარე კვლევების შედეგად მიღებულ ორ მოდელს და წარმოადგენს ღირებულებებს, რომელთა გათვალისწინებაც დაეხმარება სხვა ორგანიზაციებს ცვლილებათა მართვაში. კვლევის შედეგად ჩამოყალიბებული თეორია აგებულია ისე რომ შესაძლებელია მისი გამოყენება განსხვავებულ კონტექსტსა და მოცულობაში. დაკავშირებული იქნა ორგანიზაციისადმი რწმენა გაზიარებულ ღირებულებებსა და დროულ გადაწყვეტილებებთან. კვლევამ აჩვენა რომ როდესაც ცვლილებისას თანამშრომლები

წააწყდებიან გაუგებარს, ისინი ეყრდნობიან იმ ნდობას, რაც მათ გააჩნიათ ორგანიზაციის მიმართ. ასე რომ კითხვა ჩნდება თუ რა არის რწმენა ორგანიზაციისადმი და რა განაპირობებს მას? მმართველი მხარე ამავდროულად ზუსტად ამ რწმენის მიღებას ცდილობს და ხერხი რომელსაც მმართველი მხარე იყენებს არის ის ღირებულებები რომელიც გაზიარებულია ორგანიზაციის ფარგლებში.

დაკავშირებული იქნა კონკრეტულ ღონისძიებათა გაგება-გააზრებას ძველი და ახალი მოვალეობების გამიჯვნასთან. გამოკითხვების ერთი ნაწილი მოიცავდა დეტალურ დამოკვლევას იმისა თუ რა კონკრეტული ღონისძიებები უნდა ჩატარებულიყო ცვლილებების პროცესში და იყვნენ თუ არა თანამშრომლები ამ ცვლილებების შესახებ სრულად ინფორმირებულნი. რესპონდენტებმა აღიარეს, რომ მათ არ გამოუყენებიათ ცვლილებებში არსებული ძირითადი ელემენტები, მაგრამ კვლევის შედეგად აღმოჩნდა რომ ისინი იცნობდნენ თითოეულ მათგანს. აქ ჩნდება საკითხი ძველი მოქმედებებისა და მათი ახლებური დასახელებისა, რაც განაპირობებს იმას რომ აუცილებელია ძველსა და ახალს შორის გარკვეული ბაღანსი, რათა თანამშრომელი გაერკვას, თუ რას მოითხოვენ მისგან ცვლილებების პროცესის განმავლობაში.

დაკავშირებული იქნა ლიდერობის კომპეტენცია და თანადგომა პერსონიფიკაციასთან და ცვლილებათა აგენტის მომზადებასთან. ლიდერი არის ორგანიზაციის ვიზუალური მხარე ვისდამი ნდობას გამოხატავს მთელი ორგანიზაციის მიმართ ნდობა და განაპირობებს როგორც წარმატებას, ლიდერის წარუმატებლობა ასევე შეიძლება გახდეს წარუმატებლობის საწინდარი. ნდობის დაკარგვის შიში ერთ განყოფილებაში ადვილად შეიძლება გადავიდეს მეორე განყოფილებაში და მოედოს სრულ ორგანიზაციას და ამ შემთხვევაში გამოსასწორებელი ღონისძიებები შეიძლება არასაკმარისი აღმოჩნდეს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მმართველობისადმი ნდობა შესუსტდება მმართველობის დროული გადაწყვეტილების მიღების შეუძლებლობით. ამ შემთხვევაში თანამშრომელი უბრუნდება მის უშუალო ხელმძღვანელს რათა მან მიაწოდოს მმართველობის ქცევებისათვის გასაგები მიზეზები და აუხსნას საჭირო შემდგომი მოქმედება წარმატებისათვის. სწორედ ასეთ დროს შეუძლია ლიდერს შეცვალოს ყველაფერი.

დანართი. კვლევის ალგორითმი

ქვემოთ წარმოდგენილია კვლევების თანმიმდევრობა კვლევების პირველი და მეორე ეტაპებისთვის, შესაბამისად გამოკითხვისა (ნახ. 1) და ინტერვიუების (ნახ. 2) ეტაპებისთვის.


გამოკითხვის ეტაპისთვის კვლევის თანმიმდევრობა ასეთია: თავდაპირველად განსაზღვრულია კვლევის საგანი (ცვლილებების კონცეფცია), შემდეგ განსაზღვრულია კვლევის საგნის ცვლადები (მოტივაცია, ლიდერობა, კომუნიკაცია). კვლევის ამ ეტაპზე საკვლევი გენერალური ერთობლიობა წარმოადგენს საქართველო სკოლის მასწავლებლებს, ხოლო კერძო სექტორი წარმოადგენს ცალკეულ ამონარჩევს. გამოკითხვების მეშვეობით მონაცემების შეგროვებისა და დამუშავების შედეგად ხორციელდება კვლევის საკითხთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღება.

უკუკავშირის სქემით ნაჩვენებია, რომ კვლევის შედეგად მიღებული მონაცემებით კეთდება დასკვნა ცალკეული ამონარჩევის შესახებ, რომლითაც შესაძლებელი ხდება ვიმსჯელოთ გენერალურ ერთობლიობაზე და საბოლოოდ მიღებულ იქნას გადაწყვეტილება კვლევის საგნის შესახებ.


ინტერვიუების ეტაპისთვის კვლევის თანმიმდევრობა ზემოგანხილულის თანმიმდევრობის ანალოგიურია, კერძოდ: თავდაპირველად განსაზღვრულია კვლევის საგანი (ცვლილებების მზაობა), შემდეგ განსაზღვრულია კვლევის საგნის ცვლადები (მენეჯმენტი, ცვლილების ხელმძღვანელი, კომუნიკაცია, სამუშაოზე გავლენა). კვლევის ამ ეტაპზე საკვლევი გენერალური ერთობლიობა წარმოადგენს კერძო საგანმანათლებლო სექტორს, რომლის კვლევისთვის ფორმირებული ფოკუს-ჯგუფი. ინტერვიუების მეშვეობით მონაცემების შეგროვებისა და დამუშავების შედეგად ხორციელდება კვლევის საკითხთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღება.

უკუკავშირის სქემით ნაჩვენებია, რომ კვლევის შედეგად მიღებული მონაცემებით კეთდება დასკვნა ცალკეული ფოკუს ჯგუფის შესახებ, რომლითაც შესაძლებელი ხდება ვიმსჯელოთ გენერალურ ერთობლიობაზე და საბოლოოდ მიღებულ იქნას გადაწყვეტილება კვლევის საგნის შესახებ.

ნახაზი 1. კვლევის პროცესი - 1 სტადია - გამოკითხვა



ნახაზი 2. კვლევის პროცესი - 2 სტადია - ინტერვიუები



ლიტერატურა:

References:

1. Armenakis, A. A., Harris, S. G., Cole, M. S., Fillmer, J. L., & Self, D. R. (2007). A top management team's reactions to organizational transformation: The diagnostic benefits of five key change sentiments. *Journal of Change Management*, 7(3), 273-290.
2. Burnes, B. (2005) –Complexity Theories of Organizational Change||, *International Journal of Management Reviews*, 7(2), pp. 73-90
3. By, R. T. (2007).Ready or Not ...*Journal of Change Management*, 7(1,3-11).
4. Chawla, A. E. &Kelloway, K. (2004). Predicting openness and commitment to change. *Leadership & Organization Development Journal*, 25 (6), 485 – 498.
5. Galvin, R.S. (2003) –Successfully Implementing Change|| Victorian Quality Council
6. Greiner, L. (1972) –Evolution and revolution as organizations grow||, *Harvard Business Review*, July-August, pp. 37-46
7. Jones, R.A., Jimmieson, N. L. & Griffiths, A. (2005).The Impact of Organizational Culture and Reshaping Capabilities on Change Implementation Success: The Mediating Role of Readiness for Change. *Journal of Management Studies*,42(2), 361–386.
8. Kotter, J. P. (1995.) *Leading Change: Why transformation efforts fail.* *Harvard Business Review*, 73(2), 59-67.
9. Maisuradze, T. (2012) –Measuring the Readiness of Employees before Change: A survey||, *Journal of Business*, International Black Sea University, Volume 1, Issue 3, 2013
10. Maisuradze, T. (2013) –Perceived Readiness to Change||, *Journal of Business*, International Black Sea University, Volume 2, Issue 3, 2013
11. Neves, P. & Caetano, A. (2009). Commitment to Change: contributions to trust in the supervisor and work outcomes. *Group and Organization Management*.
12. Wanberg, C. R., &Banas, J. T. 2000. Predictors and outcomes of openness to change in a reorganizing workplace. *Journal of Applied Psychology*, 85: 132-142

Giorgi Bagaturia, Teona Maisuradze
RESEARCH METHODOLOGY FOR MEASURING READINESS
TO CHANGE IN ORGANIZATION

Summary

As competition becomes more severe and markets oversupplied, organizations must be ready for the new challenges and this means that they should implement the changes that will enable them to perfect the management so that they can seek new markets, enhance the product or the service offered for to the customers and constantly increase customers' perceived value of money.

Changes in the socio-economical relations and the advancements in science which led to the creation of wide variety of technologies for product development have led to careful consideration of customer performances. Organizations are under increasing pressure to introduce new products and hence there is a need for constant innovation to meet the expectations of not only for the potential customer's, but also the loyal customer' new needs. These circumstances require constant innovation and prosperity so that an organization can keep up with the developing markets and increased standards of customer preferences considering the vast variety of the competition the organization is obliged to work in.

The article discusses basic approaches to the readiness to change and it offers research methodology for measuring the readiness to change initiative, it discusses the developed research method for the secondary education in Georgia, the measurable variables for the selected focus group. Further recommendations are made as a result of the research.

Keywords: Organization; Changes; Readiness for changes; Measurement of readiness for changes; Research Methodology; System of secondary education of Georgia, Variables; Interview, Focus group.

Reviewer: Kakha Jakeli, Professor of International Black Sea University, Marketing program coordinator

Георгий Багатурия, Теона Мансурадзе
МЕТОДОЛОГИЯ ИССЛЕДОВАНИЯ ДЛЯ ИЗУЧЕНИЯ
ГОТОВНОСТИ ОРГАНИЗАЦИИ К ИЗМЕНЕНИЯМ

Резюме

В условиях все более обострившихся условий конкуренции, организации должны быть готовы к изменениям, которые требуют совершенствования менеджмента, поиска новых рынков, улучшения существующих в организации продуктов и услуг и изобретения новых. В непрерывном процессе изменения социально-экономических взаимоотношений в обществе, развития науки, появления новых технологических достижений, необходимо идентифицировать возникновение как новых, потенциальных пользователей продуктов и сервисов организации, так и новых пожеланий лояльных к организации потребителей.

Это приводит к необходимости постоянного изменения развития для того, чтобы соответствовать новым стандартам развивающихся рынков и увеличивающихся требований клиентов для каждого особого продукта, предлагаемого многочисленными конкурентами.

В статье рассмотрены общие требования к процессу изменений и предложена методология исследования с целью измерения готовности организации, рассмотрена возможность использования разработанной методологии для системы среднего образования Грузии, установлены измеряемые переменные, которые определены для выбранной фокус-группы. В результате исследования даны соответствующие рекомендации.

Ключевые слова: Организация; Изменения; Готовность к изменениям; Измерение готовности к изменениям; Методология исследования; система среднего образования Грузии, Переменные; Интервью, Фокус-группа.

Рецензент: Каха Джакели, профессор Международного черноморского университета, координатор программы маркетинга

CONTENTS

THEORY

David Pipinashvili

The Main Objectives of Indian Foreign Policy and its Geostrategic
Dominance on the Subcontinent of South Asia----- 5

Oleh Shepetyak

Theology and Policy in German-Speaking Religious Thoughts of the
XX Century----- 22

Tinatin Zeragia, Dina Aslamazishvili

ROLE OF FUN AS AN ELEMENT OF TEAM CULTURE
IN ENHANCING INTRINSIC MOTIVATION----- 34

Sergey Belay

Theoretical Justification of the Search engine in the Electronic
Media, Blogs and Social Networking Features of Crises in Modern
Society----- 44

ECONOMIC

Eka Nadareishvili

The Role of Marketing in Global and Local Apparel Industry----- 57

Mykhaylo Medvid, Yevhen Yakovenko

THE NECESSARY PROFESSIONAL SKILLS OF THE SPECIAL
FORCES SERVICEMEN FOR THE EFFECTIVE
IMPLEMENTATION OF SERVICE-COMBAT DUTIES----- 64

LAW

Shamil Dzamukashvili

Policy of the Criminal Case - Determinant of Crime----- 78

Nickolai Orlov

RATIONALE EXPANDING THE CONCEPT OF THE "POWER
OF PUBLIC ORDER"-----

Elena Solovieva-Poludnitsyna

The Consequences of Concluding Agreements in Criminal Justice in
Ukraine and of Georgia----- 97

SOCIETY

Maia Kavtarashvili

Consolidation of the brand on the foreign market- adaptation or
standardization in the section of the kros-cultural competences----- **109**

PRACTICE

David Shamoev

Effective Communication and Service in Public Service----- **126**

Giorgi Bagaturia, Teona Maisuradze

RESEARCH METHODOLOGY FOR MEASURING READINESS
TO CHANGE IN ORGANIZATION----- **134**

СОДЕРЖАНИЕ

ТЕОРИЯ

Давид Пипинашвили

Основные задачи внешней политики Индии и ее геостратегическое доминирование на Юго-азиатском субконтиненте----- 5

Олег Шепетяк

Богословие и политика в немецкоязычной религиозной мысли XX века----- 22

Тинатин Зераგია, Дина Асламазишвили

Роль веселья как элемента командной культуры в развитии внутренней мотивации----- 34

Сергей Белай

Теоретическое обоснование механизма поиска в электронных средствах массовой информации, блогах и социальных сетях признаков возникновения кризисных явлений (ситуаций) в современном обществе----- 44

ЭКОНОМИКА

Ека Надареишвили

Роль Маркетинга в Глобальной и Местной Швейной Индустрии-- 57

Михаил Медвидь, Евгений Яковенко НЕОБХОДИМЫЕ ПРОФЕССИОНАЛЬНЫЕ УМЕНИЯ ВОЕННОСЛУЖАЩЕГО ПОДРАЗДЕЛЕНИЯ СПЕЦИАЛЬНОГО НАЗНАЧЕНИЯ ДЛЯ ЭФФЕКТИВНОГО ВЫПОЛНЕНИЯ СЛУЖЕБНО-БОЕВЫХ ЗАДАЧ----- 64

ПРАВО

Шамиль Дзамукашвили

Политика уголовногодела, как детерминант преступности----- 78

Николай Орлов

ОБОСНОВАНИЕ РАСШИРЕННОГО ПОНЯТИЯ «СИЛЫ ОХРАНЫ ОБЩЕСТВЕННОГО ПОРЯДКА»----- 85

ЕЛЕНА СОЛОВЬЕВА-ПОЛУДНИЦЫНА ПОСЛЕДСТВИЯ ЗАКЛЮЧЕНИЯ СОГЛАШЕНИЙ В УГОЛОВНОМ СУДОПРОИЗВОДСТВЕ УКРАИНЫ И ГРУЗИИ--	97
--	-----------

ОБЩЕСТВО

Майа Кавтвршвили Выход бренда на иностранный рынок – адаптация или стандартизация – в ракурсе кросс-культурной компетенции-----	109
--	------------

ПРАКТИКА

Давид Шамоев Эффективная коммуникация и обслуживание в публичной службе-----	126
---	------------

Георгий Багатурия, Теона Маисурадзе МЕТОДОЛОГИЯ ИССЛЕДОВАНИЯ ДЛЯ ИЗУЧЕНИЯ ГОТОВНОСТИ ОРГАНИЗАЦИИ К ИЗМЕНЕНИЯМ-----	134
---	------------

ავტორები

დინა ასლამაზიშვილი	ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტის ბიზნეს სკოლის პროფესორი
გიორგი ბაღათურია	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი
სერგეი ბელაი	სამხედრო მეცნიერებათა კანდიდატი, უკრაინის შსს შინაგანი ჯარების აკადემიის სამეცნიერო-საორგანიზაციო განყოფილების უფროსი. (უკრაინა)
თინათინ ზერავია	ბექ ოფისის უფროსი მენეჯერი, სს თიბისი ბანკი
ვეგენი იაკოვენკო	მაძიებელი, უკრაინის შსს შინაგანი ჯარების აკადემიის ლაბორატორიის უფროსი. (უკრაინა)
თეონა მაისურაძე	შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის დოქტორანტი
ეკა ნადარეიშვილი	აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო - ეპი ჯორჯია. სამკერვალო სექტორის მენეჯერი
მიხაილო მედვიდი	ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, უფროსი მეცნიერ თანამშრომელი, უკრაინის შსს შინაგანი ჯარების აკადემია (უკრაინა)
ნიკოლოზ ორლოვი	სახელმწიფო მართვის დოქტორი, სამხედრო მეცნიერებათა კანდიდატი, უკრაინის შსს შინაგანი ჯარების აკადემიის შინაგანი ჯარების ოპერატიული გამოყენების კათედრის პროფესორი. (უკრაინა)
დავით პიპინაშვილი	პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი, ინდოეთში საქართველოს საელჩოს მრჩეველი

ელენე სოლოვიოვა-პოლუდნიცინა	იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, შინაგან საქმეთა ხარკოვის ეროვნული უნივერსიტეტის სამართლისა და მასობრივი კომუნიკაციების ფაკულტეტის სისხლის სამართლის დისციპლინების კათედრის პროფესორი. (უკრაინა)
მაია ქავთარაშვილი	საქართველოს უნივერსიტეტის ფროფესორი, მარკეტინგული კომუნიკაციების კონსულტანტი.
დავით შამოვეი	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი
ოლეგ შეპეტიაკი	ბორის გრინჩენკოს სახელობის კიევის უნივერსიტეტის საზოგადოების ინსტიტუტის ფილოსოფიის კათედრის დოცენტი, უკრაინის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის რელიგიათმცოდნეობის განყოფილების დოქტორანტი. (უკრაინა)
შამილ ძამუკაშვილი	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

Authors

Dina Aslamazishvili	Associate Professor, Management Direction Head. Georgian American University, Business School
Giorgi Bagaturia	Professor, Georgian Technical University
Sergey Belay	PhD in military science, senior researcher, chief of scientific-organization department Academy of the interior troops Ministry of the Internal Affairs, Kharkiv. (Ukraine)
Shamil Dzamukashvili	Doctoral Candidate, Georgian Technical University
Maia Kavtarashvili	Professor, University of Georgia. Marketing Communications Consultant
Teona Maisuradze	Doctoral Candidate, International Black Sea University
Mykhaylo Medvid	Candidate of economics, senior researcher, doctoral degree researcher, Academy of Internal Troops of MIA, Ukraine, Kharkiv. (Ukraine)
Eka Nadareishvili	USAID EPI Georgia - Apparel Sector Manager.
Nickolai Orlov	Doctor of Public Administration, Doctor of Military science, professor of Operative Application of interior troops department in the Academy of interior troops MIA of Ukraine. (Ukraine)
David Pipinashvili	Ph.D of Politic. Counsellor the Georgian Embassy in India
Elena Solovieva-Poludnitsyna	Ph.D of Law, Professor of Criminal Law, Faculty of Law and Mass Communications of the Kharkov National University of Internal Affairs. (Ukraine)
David Shamoev	Doctoral Candidate, Georgian Technical University
Oleh Shepetyak	Candidate of philosophical Sciences, Docent of Department of Philosophy of Borys Grinchenko Kyiv University. (Ukraine)

Jevgeny Ykovenko

Competitor the chief of laboratory of the
Academy of Internal Troops of MIA.
(Ukraine)

Tinatin Zeragia

Chief Back Office Manager. JSC TBC Bank

Авторы

Дина Асламазишвили	Профессор Бизнес Школы Грузинско-Американского Университета
Георгий Багатурия	Профессор Грузинского технического университета
Сергей Белай	Кандидат военных наук, старший научный сотрудник, начальник научно-организационного отдела Академии внутренних войск МВД Украины, г.Харьков. (Украина)
Шамиль Дзамукашвили	Докторант Грузинского технического университета
Тинатин Зерагиа	Главный Менеджер бэк-офиса, ОАО ТВС
Майя Кавтарашвили	Профессор Грузинского Университета Консультант Маркетинговых Коммуникаций.
Теона Маисурадзе	Докторант Международного черноморского университета
Михаил Медвидь	Кандидат экономических наук, старший научный сотрудник, докторант, Академия внутренних войск МВД Украины. (Украина)
Ека Надареишвили	Агентство США по международному развитию - Экономическое Инициативы Процветания - Грузия. Менеджер сектора одежды
Николай Орлов	Доктор наук государственного управления, Кандидат военных наук, доцент кафедры оперативного применения внутренних войск Академии внутренних войск МВД Украины. (Украина)
Давид Пипинашвили	Доктор политики, советник посольства Грузии в Индии
Елена Соловьева-Полудницына	Кандидат юридических наук, доцент кафедры уголовно-правовых дисциплин факультета права и массовых коммуникаций Харьковского национального университета внутренних дел. (Украина)
Давид Шамоев	Докторант Грузинского технического университета

Олег Шепетяк

Кандидат философских наук, доцент
кафедры философии Института общества
Киевского университета имени Бориса
Гринченко, докторант отделения
религиоведения Института философии
Национальной Академии Наук Украины.
(Украина)

Евгений Яковенко

Соискатель, начальник лаборатории,
Академия внутренних войск МВД Украины.
(Украина)

ქურნალის რედკოლეგია

ნანა ავალიანი	ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ეკვიპტეში საქართველოს საელჩოს დესპანი (საქართველო)
რუდიგერ ანდრესენი	ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორი ეკონომიკის დარგში, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი (გერმანია)
მეუფე აბრაამი (გარმელია)	დასავლეთ ევროპის მიტროპოლიტი (საქართველო)
ევგენი ბარათაშვილი	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი (საქართველო)
გიორგი ბაღათურია	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი (საქართველო)
ოთარ ბაღათურია	პასუხისმგებელი მდივანი, პოლიტიკის დოქტორი (საქართველო)
რასა ბელოკაიტე	ვიტაუტას დიდის უნივერსიტეტის პროფესორი (ლიტვა)
ანასტასია განიჩი	რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური აზიის, კავკასიისა და ურალ-ვოლგისპირეთის შემსწავლელი ცენტრის მეცნიერ-მუშაკი, დოცენტი (რუსეთი)
იური გორიცი	მოსკოვის ენერგეტიკული ინსტიტუტის პროფესორი (რუსეთი)
ვახტანგ გურული	ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი (საქართველო)
შოთა დოლონაძე	მთავარი რედაქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, (საქართველო)
ელუნ დრაკე ჰარალდ ვერტცი	ევროპის საბჭოს ექსპერტი (საფრანგეთი) სორბონას უნივერსიტეტის „პარი-8“-ის პროფესორი ინფორმატიკის დარგში (საფრანგეთი)
გენადი იაშვილი	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, საჯარო მმართველობისა და ელექტრონული ბიზნესის დეპარტამენტის ხელმძღვანელი (საქართველო)
სერჯო კამიზი	“ლა საპიენძა“-ს უნივერსიტეტის პროფესორი (იტალია)

რინარდ მასის	ნოტრდამის უნივერსიტეტის პროფესორი (ნიდერლანდების სამეფო)
როინ მეტრეველი	აკადემიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი (საქართველო)
იოშიკა მიცუი	იოკოჰამას ეროვნული უნივერსიტეტის პროფესორი (იაპონია)
ბადრი ნაკაშიძე	მ. ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის უნივერსიტეტის სახელმწიფო მართვის ფაკულტეტის პროფესორი (რუსეთი)
ლიზავეტა ჟახანინა	კანზასის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი (ამერიკის შეერთებული შტატები)
ბუდი ნურანი რუჩჯანა	პაჯაჯარანის უნივერსიტეტის პროფესორი. (ინდონეზია)
რამონ პიეტრო-სუარესი გერტ სურმიულენი	ვეროპის საბჭოს ექსპერტი (ესპანეთი დოქტორი, ლოჯისტიკური კომპანიის პრეზიდენტი (გერმანია)
ქეთი ქოქრაშვილი	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (საქართველო)
ოთარ ქოჩორაძე	მთავარი რედაქტორის მოადგილე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი (საქართველო)
რუსუდან ქუთათელაძე	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი (საქართველო)
მაია ჩხეიძე	საქართველოს უნივერსიტეტის პროფესორი (საქართველო)
ენდრიუ ლენუქს ჰარდინგსი	კინგსკოლეჯის პროფესორი (დიდი ბრიტანეთი)

EDITORIAL BOARD

NANA AVALIANI	PhD of History, Counselor-envoy of Georgia in Egypt (Georgia)
RUDIGER ANDRESEN	Professor of Economics of Berlin University, Doctor of Honour of Georgian Technical University (Germany)
His Eminence ABRAHAM (GARMELIA)	Metropolitan of Western Europe (Georgia)
EVGENI BARATASHVILI	Professor of Georgian Technical University, Head of Department of Economics and Business Management (Georgia)
GIORGI BAGATURIA	Professor of Georgian Technical University (Georgia)
OTAR BAGATURIA	Responsible Editor, Ph.D. (Georgia)
RASA BELOKAITE	Professor of the University of Vitautas the Great (Litva)
MAIA CHKHEIDZE	Professor of University of Georgia (Georgia)
ELUN DRUCKE	Expert of European Council (France)
SHOTA DOGONADZE	Chief Editor, Professor of Georgian Technical University, (Georgia)
ANASTASIA GANICH	Docent, Scientific worker of Central Asia, Caucasus and Ural-Volga researcher center of the Avcademy of Sciences of Russia (RF)
YURI GORITSKIY	Professor of Moscow Power Engineering Institute (RF)
VAKHTANG GURULI	Professor of Ivane Javakhishvili Tbilisi State University (Georgia)
ANDRU LENUKS HARDINGS	Professor of King's college (UK)
GENADI IASHVILI	Professor of Georgian Technical University, Head of the Public Administration and Electronic Business Department (Georgia)
SERGIO CAMIZ	Professor of the University of Roma „La Sapienza- (Italia)
KETI KOKRASHVILI	Professor of Georgian Technical University, Head of the Administration (Georgia)
OTAR KOCHORADZE	Deputy Editor-in-Chief, Professor of Georgian Technical University (Georgia)
RUSUDAN KUTATELADZE	Professor of Georgian Technical University, Dean of Business-Engineering faculty (Georgia)
RICHARD MAAS	Professor of the University of Notrdam (The Netherlands)

ROIN METREVELI	Academician. Vice President of Georgian Academy of Sciences (Georgia)
IOSHIKA MITSUI	Professor of National University of Yokohama (Japan)
BADRI NAKASHIDZE	Professor of M.Lomonosov Moscow State University (RF)
RAMON PIETRO-SUARES	Expert of European Council (Spain)
BUDI NURANI RUCHJANA	Professor of the University of Padjadjaran (Indonesia)
GERT SURMIULEN	Doctor, president of Logistic company (Germany)
LIZAVETA DJAKHANINA	Professor of Kansas State University (USA)
HARALD WERTZ	Professor of Informatics of Sorbona University Pari-8 (France)

РЕДКОЛЛЕГИЯ

НАНА АВАЛИАНИ	Посол по особым поручениям МИД Грузии, доктор исторических наук (Грузия)
Владыко АВРААМ (ГАРМЕЛИЯ)	Митрополит Западной Европы (Грузия)
РУДИГЕР АНДРЕСЕН	Профессор экономики Берлинского университета, почетный доктор Грузинского технического университета (Германия)
ГЕОРГИЙ БАГАТУРИЯ	Профессор Грузинского технического университета (Грузия)
ОТАР БАГАТУРИЯ	Ответственный секретарь, Ph.D. (Грузия)
ЕВГЕНИЙ БАРАТАШВИЛИ	Профессор Грузинского технического университета, руководитель департаментга экономики и управления бизнесом (Грузия)
РАСА БЕЛОКАЙТЕ	Профессор университета Витаутаса Великого (Литва)
ХАРАЛЬД ВЕРТЦ	Профессор информатики Сорбонского университетета «Пари-8» (Франция)
АНАСТАСИЯ ГАНИЧ	Доцент, научный сотрудник исследовательского центра Центральной Азии, Кавказа и Урал-привольжия АН РФ (РФ)
ЮРИЙ ГОРИЦКИЙ	Профессор Московского энергетического института (РФ)
ВАХТАНГ ГУРУЛИ	Профессор Тбилисского государственного университетета им. Ив.Джавахишвили (Грузия)
ЕЛУН ДРАКЕ	Эксперт Совета Европы (Франция)
ШОТА ДОГОНАДЗЕ	Главный редактор, профессор Грузинского технического университета, (Грузия)
СЕРДЖИО КАМИЗ	Профессор Римского Университета «Ла Сапиенза» (Италия)
КЕТЕВАН КОКРАШВИЛИ	профессор Грузинского технического университета, глава администрации университета (Грузия)
ОТАР КОЧОРАДЗЕ	Заместитель главного редактора, профессор Грузинского технического университета (Грузия)
РУСУДАН КУТАТЕЛАДЗЕ	Профессор Грузинского технического университета, декан факультета Бизнес-

РИЧАРД МААС	ინჟინერინგა (გურჯია) Профессор университета Нотрдам (Нидерланды)
РОИН МЕТРЕВЕЛИ	Академик. Вице-президент АН Грузии (Грузия)
ИОШИКА МИЦУИ	Профессор национального университета Йокогамы (Япония)
БАДРИ НАКАШИДЗЕ	Профессор МГУ им. М.Ломоносова (РФ)
РАМОН ПЬЕТРО-СУАРЕС	Эксперт Совета Европы (Испания)
БУДИ НУРАНИ РУЧДЖАНА	Профессор университета Паджаджаран (Индонезия)
ГЕРТ СУРМЮЛЕН	Доктор, президент логистической компании (Германия)
МАЙА ЧХЕИДЗЕ	Профессор Университета Грузии (Грузия)
ЛИЗАВЕТА ЖАХАНИНА	Профессор государственного университета Канзас (США)
ЭНДРЮ ЛЕНУКС ХАРДИНГС	Профессор кингсколледжа (Великобритания)
ГЕННАДИЙ ЯШВИЛИ	Профессор Грузинского технического университета, руководитель департамента публичного управления и электронного бизнеса (Грузия)